ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 11 ივლისი, 2016 №162 (7088) ფასი: 50 თეთრი

„გუკა რჩეულიშვილის დაკავების გადაწყვეტილება წინასაარჩევნო გადაწყვეტილებაა“

გვ.4

რატომ გვიანდება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გამოქვეყნება

გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა სიაში ადგილი „ოცნების“ ლიდერებისგან იყიდეს“

ჯონდი ბაღათურია: „ბურჯანაძის პარტიასთან განხეთქილება არ გვაქვს“

გვ.5

შალვა შავგულიძე: „მესამე ტალღად მონათლული სასამართლოს რეფორმიდან ქაფიც კი არ დარჩა“

გვ.4

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დანაპირები სამართლიანობის აღდგენა იყო და არა – ამ მოსამართლეთა კორპუსის უვადოდ დანიშვნა“

შოთა მალაშხია: „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ჩვენც რამე უნდა გავაკეთოთ“

გვ.2

„ნორმალურ და ღირსეულ სახელმწიფოში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრიორიტეტული უნდა იყოს“

პეტრე მამრაძე: „დიდგორის ხსენება ნაციონალებისთვის სამარცხვინოა“

გვ.2

ISSN 1987-9385

გვ.5

მოვითხოვთ სულხან მოლაშვილის წამებაში მონაწილე პირების დასჯას!

შოთა მალაშხია: „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ჩვენც რამე უნდა გავაკეთოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით საქართველოს დახმარებას დაჰპირდნენ აშშ და ნატო. ამას მიესალმება პარლამენტის უმცირესობის წევრი, ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია. ამასთან, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი აცხადებს, რომ საამისოდ თავად საქართველოც უნდა გაისარჯოს.

შოთა მალაშხია:

– ეს დახმარება ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ მუდამ სხვის იმედზე არ უნდა ვიყოთ. პირველ რიგში, უნდა გვქონდეს დოქტრინა. მასში უნდა განისაზღვროს, როგორ გვესმის ჯარის ცნება, რეგიონული უსაფრთხოება.

– გაწვევის საკითხიც?

– დიახ, გაწვევის საკითხიც. შესამუშავებელია წახალისების მექანიზმები. მაგალითად, დავუშვათ, ჯარში მსახურობს სტუდენტი, რომელიც სწავლობს ფასიან ფაკულტეტზე. მას სამხედრო სამსახურში ყოფნის გამო სწავლის საფასური უნდა მოეხსნას. საერთოდ, ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი და პატრიოტიზმის გრძნობა გასაღვიძებელი.

– მიგაჩნიათ, რომ ჩვენ სულ სხვის იმედად ვართ?

– საუბედუროდ, ჩვენს ხალხს ასეთი მენტალიტეტი ჩამოუყალიბდა. ხან ჰგონია, რომ მოვა ბიძინა ივანიშვილი და კეთილდღეობას მოუტანს, ხან ფიქრობს, რომ თავდაცვის პრობლემებს აშშ მოუგვარებს. ხალხმა საკუთარი თავის იმედი დაკარგა. ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასააზრებელი.

მაგალითად, უნდა დავადგინოთ, რატომ გვყავს ამდენი ქურდი, მძარცველი და ნარკომანი? ამას გენეტიკას ვერაფერს დავაბრალებთ. სახელმწიფო ბევრ რამეზე უნდა ზრუნავდეს, საზოგადოებას სახელმწიფოებრიობის განცდას უჩენდეს. მაინცდამაინც არაფრის მაქნისი „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არ მყავს მხედველობაში. პატრიოტიზმის ხელშეწყობა ყველა ხელისუფლების ვალია. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ღირსეული ადამიანები არ არიან სხვისი შემყურე.

„წინასაარჩევნოდ ბევრი ჭუჭყი და კომპრომატი იქნება“

ერთი ძალიან საგულისხმო ფაქტი მოხდა შვეიცარიაში. იქ ჩატარდა გამოკითხვა თემაზე, ვის უნდა 2.500 ფრანკის მიღება სახელმწიფოსაგან? გამოკითხულთა 70%-მა ამაზე უარი განაცხადა. ამ ადამიანებს უნდათ, რომ ფული საკუთარი შრომით იშოვონ. ეს ღირსებით სავსე ხალხია. ასეთი ხალხით დასახლებული სახელმწიფოც ღირსეულია. იმის წარმოდგენაც არ მინდა, რა იქნებოდა, ასეთი გამოკითხვა საქართველოში რომ ჩატარებულიყო. სახელმწიფომ უნდა შექმნას ჯარის, პოლიციის, სახელმწიფო მოხელეების პრესტიჟი.

– ხელისუფლება ამას არ აკეთებს?

– ეს ხელისუფლება გაიგივებულია კორუფციასა და ნეპოტიზმთან. მან პოლიციის ავტორიტეტიც შელახა და ჯარისაც. სახელმწიფო მოხელესაც არ აქვს სტაბილური მდგომარეობა და პატივისცემა. ხალხში ისევ ძლიერია ქურდული მიდრეკილებები და საბჭოთა მენტალიტეტი.

– ეს ვითარება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეც აისახება?

– დროულად გადახვედით ტერიტორიული მთლიანობის თემაზე. ღირსეულ სახელმწიფოში, სადაც პატივს სცემენ საკუთარ ჯარს, პოლიციასა და სახელმწიფო მოხელეს, ფიქრობენ ტერიტორიულ მთლიანობაზეც. ჩვენს შემთხვევაში ეს უმტკივნეულესი პრობლემა უკანა პლანზეა გადაწეული. წესით, ანექსირებული ტერიტორიები, გამოდევნილი თანამოქალაქეები მთავარი პრობლემა უნდა იყოს.

– ტერიტორიული მთლიანობა პირველ რიგში ჩვენზეა დამოკიდებული?

– ბუნებრივია. ჩვენ ამ საკითხს ფართოდ უნდა მივუდგეთ. უკრაინა და მოლდოვაც ჩვენს დღეში არიან. ჩვენ შეგვიძლია ტერიტორიული მთლიანობა ერთობლივი ძალებით აღვადგინოთ. ამისთვის გამოსაყენებელია აშუამად უკრაინაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი. პირადად ჩემთვის იგი ღირსეული პრეზიდენტია. ვინც ამას არ ეთანხმება, ვისაც სააკაშვილი არ მოსწონს, იმანაც უნდა დაივიწყოს თავისი განწყობა და წინ დააყენოს ტერიტორიული მთლიანობა. მიხეილ სააკაშვილს შეუძლია სერიოზული როლის შესრულება საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მონაწილეობით ერთიანი ფრონტის შექმნასა და ტერიტორიული პრობლემების გადაჭრაში.

სააკაშვილს მხარდაჭერა არა აქვს. ეგ კი არა, სრული მარაზმი მოუწყვეს გიგი წერეთელს. ამ ოჯახაშენებულს გარკვეული პირობით მიეცათ ხმა და აერჩიათ ის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად! უხეშად რომ ვთქვათ, „გაეყიდათ“ თავიანთი ხმები, აერჩიათ ამ დიდ თანამდებობაზე და მერე კატეგორიულად მოეთხოვათ საქართველოს პრობლემებზე ზრუნვა! ქართველებმა მას ხმა არ მისცეს და ამით ამაყობენ.

– წინასაარჩევნოდ ტერიტორიული მთლიანობა არავის ახსოვს. საარჩევნო კამპანიის დიდი ნაწილი პენსიების მატების დაპირებებს ეთმობა.

– ბევრი ტყუილი დაპირება ისმის. მერამდენედ ატყუებენ მოსახლეობას! სულხან– საბას იგავშია ერთი დალოცვა, ვირის ჭკუა მოგცაო. ვირი ერთხელ ტალახში რომ ჩავარდება, იქ აღარ გაივლის. ცრუ დაპირებების ავტორებს ცუდი წარმოდგენა აქვთ ჩვენს საზოგადოებაზე. ვინც ხალხს პენსიების დიდ მატებას ჰპირდება, უნდა დაასაბუთოს, საიდან მოიტანს ფულს. მარტო ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება ამას ვერ გასწვდება. ასეთი მატების შედეგად თუ 2-ლარიანი პამიდორი 5 ლარი გახდება, ვისთვის იქნება ეს კარგი? კიდევ ერთი არარეალური დაპირებაა ღირსების აღდგენა. პოლიტიკოსი ვერავის ღირსებას ვერ დაუბრუნებს. ღირსება ადამიანს ან აქვს, ან არა.

– საარჩევნოდ სიტუაციის დაძაბვა თუ არის მოსალოდნელი?

– მძიმე სიტუაციაშია „ქართული ოცნება“. მას უჭირს გამარჯვება. ამისთვის დასჭირდება შავი პიარი და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება. არჩევნების წინ ბევრი ჭუჭყი და კომპრომატი იქნება. შეიძლება, პარლამენტში კი მოხვდნენ, მაგრამ მათი მანდატი და ხმა არ იყოს რეალობის ამსახველი. რეალობისა და ხალხისგან დაშორებულმა დეპუტატებმა პარლამენტში შეიძლება დიდხანს ვერ გასტანონ.

– ქრისტიან-კონსერვატიული პარტია როგორი ფორმით მონაწილეობს არჩევნებში?

– ამას რეგისტრაციის გავლის შემდეგ გამოვაცხადებთ. მანამდე საბოლოოდ დაზუსტდება კვალიფიციური სუბიექტების უფლებები.

პეტრე მამრაძე: „დიდგორის ხსენება ნაციონალებისთვის სამარცხვინოა“

გულიკო ბალაძე

უშველის თუ არა ნაციონალებს პიარკამპანია, რომელიც დიდგორს გადასწვდა? – პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ ნაცმოძრაობის პიარკამპანიას აფასებს.

– ბატონო პეტრე, რამ გაახსენა სააკაშვილს დიდგორი?

– დიდგორში პარტიის ყრილობის ჩატარების სურვილი არა მარტო სააკაშვილის პიარუნარების გამოვლინებაა, არამედ მისი განდიდების მანიის გამოხატულებაც. განდიდების მანია არასრულფასოვნების კომპლექსითაა განპირობებული.

– სად სააკაშვილი და სად დიდგორი?

– დიახ, როგორ შეიძლება, სააკაშვილმა დიდგორზე ისაუბროს მას შემდეგ, რაც ის სამარცხვინოდ გაიქცა გორში, მთელი მსოფლიოს დასანახად მუხლებზე ხოხავდა, მსოფლიოს ყველა ტელევიზია აჩვენებდა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იქვე გაოგნებული იდგა და უყურებდა ამ სცენას. მაშინ გორში ხომ არაფერი ხდებოდა. კუშნერი იქვე დარჩა მას შემდეგაც, როცა ისტერიკაში მყოფი სააკაშვილი არენიდან გაიყვანეს.

– მომავალ არჩევნებზე თავისი პიარისთვის დიდგორის გამოყენება ნაცმოძრაობას უშველის?

– ვერ უშველის. სააკაშვილი რეალობას მოწყვეტილია და თავის თავს არწმუნებს, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს ის მოევლინა მხსნელად.

– სააკაშვილის ამ იდეის შემდეგ ინტერნეტსივრცეში გაჩნდა კლიპი, დიდგორის ველზე განფენილი ადამიანები შეუჩერებლად მიემართებიან ორმოსკენ (ქვესკნელისკენ) და შიგ ვარდებიან. ნახეთ?

– არა, მაგრამ მითხრეს.

– კლიპში ნაცმოძრაობა ისე წარმოადგინეს, რომ ბოლოს ქვესკნელში აღმოჩნდება. ეს შემთხვევით ხდება?

– არა. ნაცმოძრაობაში აშკარად გრძნობენ, რომ დიდგორის ხსენება მათთვის სამარცხვინოც არის და წამგებიანიც. მაგალითად, ელენე ხოშტარიამ პირდაპირ თქვა, ასეთი სისულელეებისთვის ახლა არ გვცალიაო. ის არ დაეთანხმა სააკაშვილს.

– შეიძლება ნაცმოძრაობა სააკაშვილს გაემიჯნოს? ან რომ გაემიჯნონ, სააკაშვილის გარეშე მათი კარიერა დასრულდება?

– სააკაშვილის გარეშე? როგორ გითხრათ... ხოშტარიაც კი ღიად გამოვიდა სააკაშვილის წინააღმდეგ. სატელეფონო საუბრებში, რომლებიც მოგვასმენინეს, ნიკა გვარამიაც და ბოკერიაც არ ეთანხმებოდნენ სააკაშვილს. მათ ესმით, რომ, ჯერ ერთი, ფიზიკურად არ შეუძლიათ სააკაშვილის გიჟური პროექტების განხორციელება, მეორეც, თავის დროზე იმდენი ქნეს, როცა იყვნენ სააკაშვილის გუნდში (ახლაც რჩებიან ფორმალურად), რომ უკან დასახევი გზა არ აქვთ.



ვისაც შეეძლო, გამოეყო (გირჩი, ვაშაძე), გახსოვთ, ვერულაშვილმა რომ თქვა, ახლა მერაბიშვილის გვერდით დგომა სირცხვილიაო, მაგრამ დარჩა ის ბირთვი, რომელმაც იმდენი ჩაიდინა, ახლა საერთო ჩადენილი დანაშაულით არიან გაერთიანებულნი, თორემ შიგნით არც მეგობრული ურთიერთობა არ არსებობს და, მით უმეტეს, არც საერთო პრინციპები და იდეალები აქვთ.

– სააკაშვილმა ვარშალომიძე გამოაგზავნა აჭარაში. ეს ნაცმოძრაობის თბილისში არსებული ჯგუფის გარეშე ხდება?

– სავსებით რეალურია, რომ ესენი ჩართული არიან, ღიად ხომ არ ეწინააღმდეგებიან, შეიძლება, ცალკეულ საკითხში არ ეთანხმებიან. იგივე ხოშტარია ამბობს, რომ სააკაშვილი რჩება მნიშვნელოვან ფიგურად. საცოდაობაა ვარშალომიძის ჩამოყვანა, თუმცა აჭარასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სირთულეები.

– ვარშალომიძე აჭარაში თურმე ჯგუფებს ქმნის. რას მოიტანს ეს?

– ხმების აღება უნდათ ამ ეტაპზე.

– აჭარაში რა სირთულეებია?

– სააკაშვილი იღებდა უდიდეს ვალებს, მაგრამ ამ ვალებით აშენებდა, განსაკუთრებით ბევრს ბათუმში. როცა მუშასა და ინჟინერს მაღალი ხელფასი აქვს და ოჯახს არჩენს, იმას ვერ ეტყვი, რომ ცუდია. ვალს რომ აიღებ და იმ ფულს ხარჯავ საშინელი შენობის აშენებაზე, დანაშაულია, მაგრამ იქ მომუშავე ადამიანები დღესაც არიან. ამიტომ, არ გამიკვირდება, თუ ვარშალომიძის მიმართ ბევრ აჭარელს ექნება იმედის გრძნობა. უბრალო კაცისთვის მთავარია, ხელფასი ჰქონდეს და ოჯახს არჩენდეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რატომ გვიანდება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გამოქვეყნება

შორენა მარსაგიშვილი

რა მოიგო საქართველომ ნატოს ვარშავის სამიტით, რატომ გვიანდება „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გასაჯაროება და რა კავშირი აქვს მას ქვეყნის საგარეო კურსთან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– საზოგადოების ნაწილი ნატოს ვარშავის სამიტით კმაყოფილია, მეორე – უკმაყოფილო. თქვენი აზრით, რამდენად შედეგიანი იყო საქართველოსთვის ეს სამიტი?

– გლობალური მასშტაბით უმნიშვნელოვანესი პროცესები დაიწყო. რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ისეთი კონკრეტიკა, როგორიც ამ სამიტზე იყო, ჩვენ არ გვახსოვს. გამოწვევები განსაზღვრულია და ამერიკის ხელით პირველად დაკონკრეტდა სამოქმედო გეგმა. აშშ ნატოში თავის პოზიციას აძლიერებს, ხოლო ნატო, თავის მხრივ, აძლიერებს პოზიციებს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში.

პირველად გადაწყვიტა ნატოს ხელმძღვანელობამ, ლეტალური იარაღი მიაწოდოს უკრაინას. ასევე პირველად გადაწყვიტა ნატოს ხელმძღვანელობამ, იზრუნოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე.

– ამ ყველაფერს რუსეთი გაგებით მოეკიდება?

– რუსეთი ამას მშვიდად არ შეხვდება. ნატოს კატეგორიულობის მიზეზი სწორედაც რომ რუსეთ-თურქეთის საეჭვო ურთიერთობის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯია. თურქეთი ნატოს წევრია და ის რუსეთთან ერთად ვეღარ გააგრძელებს ანტიდასავლურ რიტორიკას. ანკარა ვარშავის სამიტის შემდეგ ალიანსისგან კონკრეტულ დავალებებს მიიღებს.

– შეასრულებს ამ მითითებებს ანკარა?

– ნატოს წევრი ქვეყანაა და ვალდებულია, შეასრულოს. ვარშავის სამიტის შემდეგ ნატოს წევრი ქვეყანა მოსკოვთან საეჭვოდ თბილ ურთიერთობაში ვეღარ იქნება. რუსეთს ამ ყველაფერზე მკვეთრი რეაქცია ექნება და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

– თქვით, რომ ნატოს ხელმძღვანელობამ პირველად გადაწყვიტა, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში დაეხმაროს. ეს შეთავაზება ნატოს წევრობის სანაცვლოდ ხდება?

– ამ ეტაპზე კი. ძალიან კარგია ის თანამშრომლობა, რომლის პერსპექტივაც გამოჩნდა. ისრაელი, ეგვიპტე და ფინეთი არ არიან ნატოს წევრები, მაგრამ შესანიშნავად თანამშრომლობენ ალიანსთან. ამერიკა ჩვენთანაც ისეთივე ფორმატით ითანამშრომლებს, როგორც ამ 3 ქვეყანასთან თანამშრომლობს, რაც სერიოზული წარმატებაა.

რაც შეეხება საკითხს, გავხდებით თუ არა ნატოს წევრები, ეს არის მხოლოდ პროცედურა. ისევე, როგორც ბავშვი უნდა დაიბადოს განსაზღვრულ ვადაში, ასევე განსაზღვრულ ვადაში უნდა მოხდეს ამა თუ იქ ქვეყნის გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. ვარშავის სამიტმა დაამტკიცა, რომ საქართველო ნატოს წევრობის კანდიდატების სიაშია. ამავე სამიტზე ითქვა, რომ საქართველო ალიანსის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს.

– რამდენჯერმე ახსენეთ, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში დაგვეხმარებიანო და ეს რა შედეგს მოიტანს? ეს ყველაფერი განცხადებად ხომ არ დარჩება?

– გამორიცხულია, რომ თავდაცვისუნარიანობის ამაღლება მხოლოდ განცხადების დონეზე დარჩეს. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში დახმარება საქართველოს სამხედრო გაძლიერებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და მაღალი კლასის განათლებას, ეს ყველაფერი კი ეკონომიკის დახმარებასა და მის გაძლიერებას გულისხმობს.

ნატოს სამიტიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძალიან სერიოზული მეთვალყურეობა იქნება ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე. ამ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს და აქ სიყალბეს არავინ დაუშვებს.

– რითი არის ეს არჩევნები ასეთი მნიშვნელოვანი, რომ ნატო მასზე დაკვირვებას აპირებს?

– ზოგადად ყველა არჩევნები მნიშვნელოვანია და დასავლეთი ითხოვს, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს კი დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის დიდი დაინტერესებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ხელისუფლებაში პრორუსული ძალები მოვიდნენ. ეს არც დასავლეთისა და არც საქართველოს ინტერესებში შედის.

– პრორუსული ძალები ახსენეთ და რას ფიქრობთ ამერიკაში საქართველოს ელჩის განცხადებაზე? არჩილ გეგეშიძე ამბობს, რომ „ქართულ ოცნებაში“ პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსები არიან.

– ამაზე კომენტარს კი არ ვაკეთებ, არამედ, სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ გამორიცხული არაფერია. „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია დაიწყება მას შემდეგ, რაც საარჩევნო სიას გამოაქვეყნებენ. სახელისუფლებო გუნდის ბედიც ამ სიაზე იქნება დამოკიდებული. სიაში მოხვედრილი ადამიანების ვინაობა ნათლად დაგვანახებს, „ქართული ოცნება“ პროდასავლურია, პრორუსული თუ, უბრალოდ, კორუმპირებული ადამიანების ერთობაა. ნათლად დავინახავთ, გაყიდეს თუ არა „ოცნების“ სხვადასხვა ლიდერებმა სიაში ადგილები.

– ასეთ განცხადებას შემთხვევით არ გააკეთებდით და აშკარად რაღაც კონკრეტული იცით.

– ჩვენ ბევრი რამე ვიცით და ბევრ რამეს ვაკეთებთ. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით, რომ 2012 წელს „ოცნების“ გამარჯვებაში სერიოზული წვლილი შევიტანეთ, სანაცვლოდ არც არაფერი მოგვითხოვია და არც არაფერი მიგვიღია. დღეს კი ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ 2012 წელს მიღწეული გამარჯვების მითვისება რამდენიმე ადამიანს სურს.

– ვისზეა საუბარი?

ზაალ კასრელიშვილი: „კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა სიაში ადგილი „ოცნების“ ლიდერებისგან იყიდეს“

– „ქართული ოცნების“ რამდენიმე ლიდერზე. მათ უნდათ, რომ საქართველო და მისი მოსახლეობა გადააგდონ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ივანიშვილი ამას არ დაუშვებს და კარგად გადახედავს გარემოცვას. იმედი გვაქვს, რომ ის კარგად გადახედავს საარჩევნო სიას და განსაკუთრებით იმ ხალხით დაინტერესდება, რომლებიც არასდროს არსად ყოფილან.

წინასწარ არ მინდა რაღაც ვარაუდების გაკეთება, მაგრამ თუ დადასტურდა, რომ ლიდერებმა ადგილები გაყიდეს, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ძალიან სერიოზულ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

– „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია 8 ივლისს უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით გადაიდო. რა ხდება, ივანიშვილმა დაიწუნა სია და მისი გადახალისება მოითხოვა?

– ეს სიის გადახალისებას არ უნდა უკავშირდებოდეს. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი შეგნებულად აგვიანებს საარჩევნო სიის გამოქვეყნებას.

– დაგვიანების მიზეზი რა არის?

– ცდილობენ, რომ ხალხის მრისხანება გადაავადონ.

– ასეთი საშინელია ეს სია?

– რადგან ასე აგვიანებენ, რაღაცაშია საქმე.

– ზემოთ თქვით, რომ იმედი მაქვს, ივანიშვილი კარგად გადახედავს ამ სიასო და ვერც მისი გადახედვა შველის საქმეს?

– ივანიშვილი, რა თქმა უნდა, მთავარია, მაგრამ ყველაფერს ის არ წყვეტს. მას ჰყავს გარემოცვა, რომელსაც მასთან სათავისოდ გაფილტრული ინფორმაციები მიაქვს.

– არ შეუძლია, მას რამდენიმე წყაროსთან გადაამოწმოს ეს ინფორმაციები?

– საქმეც ისაა, რომ სხვა წყაროებიდანაც ანალოგიური ინფორმაციები მიდის. ეს ადამიანები ერთმანეთში არიან შეკრული და მოფიქრებული აქვთ, თუ რა სახის ინფორმაციები უნდა მიაწოდონ ივანიშვილს.

სიის გამოქვეყნების შემდეგ სხვა რას აპირებს, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენ ჩვენი საშინაო დავალება მომზადებული გვაქვს – ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუშვებთ საქართველოს პრივატიზაციას. 1988 წლიდან მოყოლებული დღემდე ძლივს გამოჩნდა გვირაბის ბოლოს სინათლე და ვერ დავუშვებთ, რომ შევარდნაძისდროინდელმა კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა ჩვენი მომავალი შეცვალონ.

– ასეთი აშკარაა ამის მცდელობა?

– აშკარაა და იმის ალბათობაც დიდია, რომ აქ რაღაცების შეცვლა დააპირონ. ეს საგარეო ფრონტიდანაც კარგად ჩანს. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ისეთი გააქტიურებულები არიან და ისეთ მესიჯებს აგზავნიან წერტილოვანი დარტყმების დონეზე, რომ თუ დებილი ან ნაძირალა არ ხარ, უნდა მიხვდე, რაზე გელაპარაკებიან.

არსებულ ვითარებაში რუსეთისთვის ერთადერთი გამოსავალია, ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე თავისი ხალხი შემოიყვანოს. საქართველოს მოსახლეობამ ეჭვის დონეზე მაინც ვიცით, ვინ ფინანსდება რუსეთიდან. თუმცა ის ძალები, რომლებიც რუსეთიდან ფინანსდებიან, ავტორიტეტით არ სარგებლობენ. ამ ძალების უმრავლესობაში მოსვლა გამორიცხულია, არადა, მოსკოვს აქ ჰაერივით სჭირდება დასაყრდენი. ეს ცნობილი პრორუსული პარტიები კრემლს მხოლოდ ყურადღების გადასატანად ჰყავს გამოჭენებული, ფსონი კი სხვა ხალხზე აქვს დადებული.

– შეგიძლიათ გვითხრათ, რომელ ძალაზე ჩამოვიდა რუსეთი ფსონს?

– კონკრეტულად არცერთ ძალაზე არ აქვს ფსონი დადებული. რამდენიმე პარტიაში ჰყავს თავისი ხალხი ჩანერგილი. მათ შორის ისეთ პარტიებშიც, რომლებზეც ვერ წარმოიდგენ, რომ რუსეთთან არიან კავშირში.

– მმართველ გუნდშიც არიან რუსეთის ჩანერგილები?

– ამაზე მას შემდეგ გიპასუხებთ, რაც სია გამოქვეყნდება. ჩვენ სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ რუსეთი თავის ჩანერგილ ხალხს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გააერთიანებს და აამოქმედებს.

ყველაფერი, რაც გითხარით, თუ მხოლოდ ჩვენი ეჭვია და მოსკოვი ასე არ მოიქცა, ჩათვალეთ, რომ მან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით წასაღები წაიღო და ახლა ყველა სხვა დანარჩენი ფეხებზე ჰკიდია ანუ დასავლეთისთვის დაუტოვებია. ამის ჩვენ ნაკლებად გვჯერა.

უფრო დეტალურად არჩევნების შემდეგ იქნება საუბარი შესაძლებელი, მანამდე კი ყველაზე საინტერესო „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გამოქვეყნება იქნება. ამ სიაზე საქართველოს მომავალი იქნება დამოკიდებული.

– ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის?

– ხმამაღალი ნათქვამი არაა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ამ საარჩევნო სიაზე იქნება დამოკიდებული. კიდევ ერთხელ გამოვთქვამ იმედს, რომ ივანიშვილო კარგად გადახედავს გარემოცვას. გვირაბის ბოლოს ძლივს გამოჩნდა სინათლე და სარგებლობის მაძიებელ მოღალატეებს აღარ მივცემთ ქვეყნის გაყიდვის მცდელობას.

თინა ხიდაშელი: „ჩვენ ვრჩებით ნატოსთან ერთად ავღანეთში“

– ჩვენ ვრჩებით ნატოსთან ერთად ავღანეთში, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ნატოს ვარშავის სამიტის ფარგლებში ავღანეთის მისიაში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურების შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მსვლელობისას ქვეყნებმა ავღანეთში უსაფრთხოების კუთხით შექმნილი მდგომარეობა და „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მიმდინარეობა განიხილეს. საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ გაგრძელებას.

ავღანეთის მისიაში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურების შეხვედრა და ავღანეთის „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესახებ ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჟურნალისტებთან საუბრისას შეაფასეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

– ნატომ მიიღო გადაწყვეტილება „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ფორმატის გაგრძელებაზე. სკეპტიკოსების განაცხადის მიუხედავად, მისია არ იცვლება. პრეზიდენტმა ობამამაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რჩება ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ პროგრამაში და გააგრძელებს პარტნიორებთან ერთად აქტიურ მოქმედებებს, ერთი მხრივ, ავღანური არმიისა და ავღანეთის სამხედრო პოტენციალის გასაძლიერებლად და მეორე მხრივ, ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. „მტკიცე მხარდაჭერის“ მისია გრძელდება ისე, როგორც დაგეგმილი იყო 2016 წლის დეკემბრამდე.

კიდევ ერთი სიახლე ის იყო, რომ ყველა ქვეყანამ დაადასტურა საკუთარი პასუხისმგებლობა 2020 წლამდე. გუშინდელ დღემდე საუბარი იყო მისიის 2018 წლის ბოლომდე გაგრძელებაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, გუშინ ნატოს წევრი ქვეყნები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ეს ვალდებულება ასაღებია 2020 წლამდე. ბუნებრივია, თუ ყველაფერი კარგად იქნება ავღანეთში, ნებისმიერ მომენტში შეიძლება მისიის შეწყვეტა. საქართველოს პრეზიდენტმა ოფიციალურად და ღიად დაადასტურა საქართველოს პოზიცია, რომ ჩვენ ვრჩებით ნატოსთან ერთად ავღანეთში ამ მისიის დასრულებამდე, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, ნატოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ გაირკვევა, დასჭირდება თუ არა მისიაში საქართველოს მონაწილეობის საკითხს საქართველოს პარლამენტის რატიფიკაცია.

გენერალური შტაბის უფროსმა კი განაცხადა, რომ ავღანეთის „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში საქართველო ჯერჯერობით აქამდე განსაზღვრული ამოცანებით და იმავე რაიონებში რჩება.

– ვრჩებით კოალიციის შემადგენლობაში, ვაგრძელებთ მისიას. რა თქმა უნდა, მოქნილად ვახორციელებთ ჩვენს ამოცანებს. შესაბამისად, დამოკიდებულები ვართ გეგმებზე, რომელსაც მისიის ხელმძღვანელობასთან ერთად ვამუშავებთ. ასე რომ, რაოდენობა, რომელიც დღეს გაგვაჩნია, რჩება იმ რაიონებში და იმ ამოცანებით, სადაც არის – ქაბულში, მაზარ-ი-შარიფში, ბაგრამში. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჯერჯერობით ამ ფორმატში ვაგრძელებთ მუშაობას, ერთად ვახორციელებთ დაგეგმვას. პირველადი მონაცემებით, ჩვენი მისია არ იცვლება, – განაცხადა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

ვარშავის სამიტზე ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ავღანეთისთვის სამხედრო და ფინანსური დახმარების გაგრძელებასა და საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან პოლიტიკური და პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრას პირველად დაესწრო მონტენეგრო.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

შალვა შავგულიძე: „მესამე ტალღად მონათლული სასამართლოს რეფორმიდან ქაფიც კი არ დარჩა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი, დეპუტატი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ სასამართლო სისტემის მესამე ტალღასთან დაკავშირებული კანონპროექტის ჩავარდნაზე პასუხისმგებლობა მმართველ გუნდს ეკისრება და არა – ზოგადად პარლამენტს.

– ბატონო შალვა, სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღასთან დაკავშირებული კანონპროექტი პარლამენტმა ვერ მიიღო. რატომ?

– მთლიანად საკანონმდებლო ორგანოზე ამ პასუხისმგებლობის დაკისრება გამართლებული არ არის. პასუხისმგებლობა ამაზე მმართველ პოლიტიკურ გუნდს ეკისრება. მესამე ტალღასთან დაკავშირებული კანონპროექტი მთავრობის მიერ იყო ინიცირებული, მაგრამ მეორე მოსმენის დროს ოპოზიციამ, კონკრეტულად თავისუფალმა დემოკრატებმა, დავაფიქსირეთ ამ კანონპროექტის უარყოფითი მხარეები და ჩვენ მხარს ვერ დავუჭერდით, რადგან ის არ პასუხობს რეალური რეფორმის მოთხოვნას. თუ მათ უნდოდათ მისი მიღება, მესამე მოსმენაზე გამოეტანათ და კენჭი ეყარათ, მაგრამ, ეჭვი მეპარება, რომ ეს უნდოდათ.

– რა იყო კანონპროექტში უარყოფითი, რატომ არ უჭერდით მხარს?

– ერთ-ერთი უმთავრესი შენიშვნა იყო ჩვენი მხრიდან, რომ სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნა მომხდარიყო არა იუსტიციის საბჭოს მიერ, არამედ მოსამართლეების მიერ ყოფილიყვნენ არჩეულები. ასევე კანონპროექტში იყო დებულება, რომ სამწლიანი გამოსაცდელი ვადა არ გავრცელებულიყო იმ მოსამართლეებზე, რომელთაც ჰქონდათ წინა ხელისუფლების დროს

სამოსამართლეო გამოცდილება და ისინი პირდაპირ უვადოდ დანიშნულიყვნენ, ახალ კანდიდატებზე კი გავრცელებულიყო ეს მოთხოვნა. ესეც მიუღებელი დებულება იყო.

– რატომ?

– ახალი კანდიდატები კონკურენციას ვერ გაუწევდნენ და ეს იმთავითვე ანიჭებდა ძველ მოსამართლეებს უპირატეს მდგომარეობას. სანამ ახალი მოსამართლეები გაივლიან ამ სამწლიან ვადას, პირობითად, რომ ვთქვათ, ძველი მოსამართლეები შეავსებენ არსებულ ვაკანსიებს. ეს ის მოსამართლეთა კორპუსია, რომელთა მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოებაში აბსოლუტური უნდობლობაა.

სწორედ ამან გააჩინა საზოგადოებაში საფუძვლიანი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენის. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დანაპირები სამართლიანობის აღდგენა იყო და არა – ამ მოსამართლეთა კორპუსის უვადოდ დანიშვნა.

მეორე მოსმენის დროს ეს დებულება ამოღებულ იქნა, რადგან სამართლიანი შენიშვნები გამოითქვა და თავად ხელისუფლებაც მიხვდა, რაოდენ წამგებიანი იქნებოდა ეს თუნდაც წინასაარჩევნოდ.

– ამ კანონპროექტში საუბარი იყო საქმეთა ელექტრონულ განაწილებაზე ანუ შემთხვევით შერჩევაზე. ამას ხომ უჭერდით მხარს?

– ეს წესი პოზიტიურია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ის, რაც შემოთავაზებული იყო, არ გულისხმობდა მის ამოქმედებას იმთავითვე. ეს უფრო წინასაარჩევნო პიარს ემსახურება, ვიდრე რეალურად ამ წესის ამოქმედებას.

– რატომ?

– იუსტიციის სამინისტრომ უნდა შექმნას კომისია სპეციალისტების მონაწილეობით, რომლებიც შექმნიან ამ პროგრამას 6 თვის განმავლობაში, რომელსაც იუსტიციის საბჭო დაამტკიცებს. პარლამენტის მიერ წინასწარ კანონად უნდა გამოცხადდეს ის, რასაც შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაამტკიცებს. ცუდი პროგრამა რომ შექმნან, რომელმაც ვერ უზრუნველყოს შემთხვევითი განაწილების პრინციპი, მერე რა ხდება?!

– ეჭვი შეგაქვთ?

– არა, მე ვამბობ, რომ ეს სამუშაოები მანამდე უნდა განხორციელებულიყო. როგორ შეიძლება, განზრახულობა პარლამენტმა კანონად აქციოს! მსგავსი კანონშემოქმედებითი პრაქტიკა მე არსად მინახავს. რეალურად, იმთავითვე ცხადი იყო, რომ სასამართლო სისტემის მესამე ტალღად მონათლული რეფორმიდან არათუ ტალღა, ქაფიც კი არ დარჩა – მხოლოდ სახელი.

– მოსამართლეობის მსურველ კანდიდატებთან მიმდინარეობს გასაუბრება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ ეს პროცესი ღია და ვისაც უნდა, ის დაესწროს. რა შეგიძლიათ თავად კანდიდატებზე გვითხრათ?

– არავითარი ღია არ არის, გამჭვირვალედ ნამდვილად არ მიმდინარეობს ეს პროცედურა. ასე თუ ისე, ეს კანონპროექტი ითვალისწინებდა მოსამართლეობის მსურველი კანდიდატების შეფასებისთვის ახალ კრიტერიუმებს, მაგრამ კანონი არ არის მიღებული. ამდენად, ვფიქრობ, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ სწორედ ამიტომ გააჭიანურა ამ კანონპროექტის მიღება.

ახლა ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე, იუსტიციის საბჭოს სუბიექტური შეხედულებისამებრ მიმდინარეობს ამ კანდიდატებთან გასაუბრება.

„ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა ამ კანონპროექტის მიღების პოლიტიკური ნება, თორემ კანონპროექტი ორი მოსმენით გასული იყო და მესამე მოსმენა მხოლოდ რედაქციულ შენიშვნებს ითვალისწინებს, რის მომზადებასაც მხოლოდ ერთი საღამო სჭირდება.

ტალღა სწორედ ის არის, რომ მართვადი მოსამართლეები ხელახალი ვადებით განაწესონ სისტემაში, მაგალითად, ისეთი მოსამართლეები, როგორიც იყო გირგვლიანის პირველი ინსტანციის მოსამართლე გიორგი ჩემია, რომლის შესახებაც ტელევიზიით გავიგე. სწორედ მის მიერ განხილულ საქმეზე, გირგვლიანის საქმეს ვგულისხმობ, ევროპის სასამართლომ თქვა, რომ ვერ მალავს აღშფოთებას, რომ ყველაფერია გაკეთებული, რათა რეალურად მართლმსაჯულება არ განხორციელებულიყო. სწორედ იმ მოსამართლეების, რომლებიც ყველაზე მეტი მორჩილებით გამოირჩეოდნენ წინა ხელისუფლების მიმართ, გადანიშვნის მცდელობას ვხედავთ.

– ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ არსებობს ჯგუფი, რომელსაც ის დღეს არ დაასახელებს, მაგრამ ეს ჯგუფი სასამართლო სისტემის ხელში ჩაგდებას ცდილობს და ამიტომაც არ წყდება კრიტიკა. ვინ შეიძლება, ეს ჯგუფი იყოს?

– მე არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს ეს ჯგუფი. სწორედ „ქართული ოცნება“ ცდილობს, ხელში ჩაიგდოს თუ მოიგდოს, როგორც ამბობს მურუსიძე, სასამართლო სისტემა. მე ერთი ვიცი, რომ მორჩილი სასამართლო სისტემა და მორჩილი მოსამართლეები სახელმწიფოს, მის წინსვლასა და განვითარებას არაფერში გამოადგება.

„გუკა რჩეულიშვილის დაკავების გადაწყვეტილება წინასაარჩევნო გადაწყვეტილებაა“

გუშინ, 10 ივლისს, დააკავეს შპს „ცენტრ-პოინტი აჭარის“ დირექტორი ირაკლი მინდელი და გაყიდვების მენეჯერი სალომე ჩარკვიანი.

თუ რომელი მუხლით არიან დაკავებული აღნიშნული პირები, ამ ეტაპზე პროკურატურაში არ აკონკრეტებენ. ამის შესახებ განცხადებას პროკურატურა დღეს გაავრცელებს.

გუშინვე რუსუდან კერვალიშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ პროკურატურა გუკა რჩეულიშვილის დაკავებასაც აპირებდა.

როგორც კერვალიშვილმა ინტერპრესნიუსს განუცხადა, ის აღნიშნულ ინფორმაციას ვახტანგ რჩეულიშვილისგან ფლობდა, რომელსაც ტელეფონით ესაუბრა.

– საუბარია ბათუმის პროექტზე „მაგნოლია“, რომელიც ჩაბარებულია და იქ უკვე ხალხი ცხოვრობს. აქ რა შუაშია გუკა რჩეულიშვილი, არ ვიცი, – აღნიშნა რუსუდან კერვალიშვილმა.

გუკა რჩეულიშვილის დაკავება ვერ მოხერხდა. ადგილზე მისულ პროკურატურის თანამშრომლებს რჩეულიშვილი ადგილზე არ დახვდათ.

ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა გუკა რჩეულიშვილის მამამ, ვახტანგ რჩეულიშვილმა და განაცხადა, რომ შვილთან კომუნიკაცია არ ჰქონია.

– რაზე უნდა ველაპარაკო, გაიგებდა, აქ რაც ხდება, რომ დასაკავებლად მოვიდნენ. 4 წელია, ძიება მიმდინარეობს. ჩვენ ვითხოვდით კომპლექსური გამოძიების ჩატარებას მერიის, სამინისტროების, განვითარების ფონდისა და არჩილ კბილაშვილის საწინააღმდეგოდ და მივიღეთ პასუხად ის, რომ 30-კაციანი ჯგუფი შექმნეს და გუკას დაჭერა მოინდომეს, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

ის ვარაუდობს, რომ გუკა რჩეულიშვილის დაკავების გადაწყვეტილება წინასაარჩევნო გადაწყვეტილებაა.

– მოდის არჩევნები. ასეთ გადაწყვეტილებას არავინ იღებს ტყუილად. იციან, რომ რუსუდან კერვალიშვილი იყო ნაციონალური მოძრაობის დროს პარლამენტის სპიკერი, იციან, რომ მაია მეგობრობდა მიხეილ სააკაშვილთან, იციან, რომ მე არ მქონდა კარგი ურთიერთობა წინა ხელისუფლებასთან და არც ამ ხელისუფლებასთან მაქვს კარგი ურთიერთობა.

იფიქრეს ალბათ და მიიღეს ასეთი წინასაარჩევნო გადაწყვეტილება. თუ ეს მართლაც ასეა და ეს წინასაარჩევნო გადაწყვეტილებაა, მინდა ვუთხრა, რომ ეს ყველაზე დიდი შეცდომა იქნება მათ პოლიტიკურ კარიერაში, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

თავად პროკურატურაში არ დაადასტურეს, რომ მიმდინარეობდა გუკა რჩეულიშვილის დაკავების ოპერაცია,

– დაკავებულები არიან შპს „ცენტრ-პოინტი აჭარის“ დირექტორი ირაკლი მინდელი და სალომე ჩარკვიანი. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, მე ვადასტურებ ოფიციალურად, რომ ამ დროისთვის დაკავებულია მხოლოდ ორი პირი. მიმდინარე სპეცოპერაციებზე ვერ გავაკეთებ კომენტარს, – განაცხადა პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნათია სუხიაშვილმა ინტერპრესნიუსთან საუბარში.

◆ ◆ ◆

გუშინდელ მოვლენებს მაია რჩეულიშვილიც გამოეხმაურა.

მან ინტერპრესნიუსს უთხრა, რომ, საქმე „მაგნოლიის“ პროექტს ეხება, რომელიც 5 წლის წინ დასრულდა,

მაია რჩეულიშვილი: „გუკას დასაკავებლად ჩიტაძის ქუჩაზე მივიდნენ, მაგრამ გუკა გასული იყო“

იქ ახლა ხალხი ცხოვრობს და გაქირავებული აქვთ ბინები. ამასთან, რჩეულიშვილის ინფორმაციით, ირაკლი მინდელს ამ საქმეზე უკვე ჰქონდა სასამართლო პროცესი ბათუმში, შეუფარდეს გირაო და სასამართლო მორიგებით დასრულდა.

– ბათუმში სალომე ჩარკვიანთან 20 კაცი მივიდა პროკურატურიდან, 3 ბავშვთან ერთად დაიჭირეს და ბათუმიდან თბილისში ეტაპირებით გადმოჰყავთ. ირაკლი მინდელის დაკავების დეტალები არ ვიცი. გუკას დასაკავებლად ჩიტაძის ქუჩაზე მივიდნენ, მაგრამ გუკა გასული იყო, – განაცხადა მაია რჩეულიშვილმა.

მან აღნიშნა, რომ ეს არის მისი შპს 100%-ით და თუკი ფული დახარჯეს, ამაზე მას უნდა ეჩივლა გუკასთვის, ირაკლისთვის და სალომესთვის.

– აქ სახელმწიფო არაფერ შუაშია. ერთს ვადასტურებ, რომ არასდროს ფული უნებართვოდ არ აუღიათ, რადგან ეს იყო ჩემი ფული, მე უნდა მეჩივლა, მე ვარ მხარე. წარმოიდგინეთ, ჩემს სახლში ჩემი ჩაიდანი მე რომ ავიღო და თქვენ მიჩივლოთ, – განაცხადა მაია რჩეულიშვილმა.

ის მიიჩნევს, რომ საქმე პოლიტიკურია და ამ კონტექსტში ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის ინტერესებზე საუბრობს.

– საერთოდ ეს საქმე არის პოლიტიკური – არჩილ კბილაშვილი, რომელმაც ჩემს დას საქმე აღუძრა, ერთ-ერთ ობიექტზე ჩვენი პარტნიორი იყო. მან წარმოუდგენლად უხეშად გამოიყენა თავისი ძალაუფლება. ნახევარი სახლი იყო ჩვენი, ნახევარი – აჩიკო კბილაშვილის. სახლის, რომელიც ჩვენ უნდა აგვეშენებინა და სადაც ჩვენ მილიონიანი ინვესტიცია განვახორციელეთ, ეტყობა, მთლიანად გამორთმევა მოუნდა. ეს არის ჩემი აბსოლუტურად დასაბუთებული ეჭვი, – აღნიშნა მაია რჩეულიშვილმა.

ნატოს გენერალური მდივანი შემოდგომაზე საქართველოს ესტუმრება

– ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი საქართველოში შემოდგომაზე ჩამოვა, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა ვარშავის სამიტის ფარგლებში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

– ჩვენ ვაღიარეთ ის პროგრესი, რომელსაც საქართველო აღწევს წევრობის გზაზე. ჩვენ ასევე მკაფიო პოზიცია გვიკავია იმასთან მიმართებაში, რომ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებებს. ჩვენ ასევე მტკიცე გზავნილით გამოვდივართ, როცა საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ მოვახდინეთ არსებით პაკეტში სხვადასხვა ელემენტის იმპლემენტაცია.

ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს ძლიერ პოლიტიკურ და პრაქტიკულ დახმარებას. საქართველოს ვიზიტით ვესტუმრები შემოდგომაზე ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან ერთად და ეს იქნება კიდევ ერთი მაგალითი ნატოს ძლიერი მხარდაჭერისა საქართველოსადმი, მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი და რეფორმების გატარებისადმი წევრობის გზაზე, – განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

ინტერპრესნიუსი

მოვითხოვთ სულხან მოლაშვილის წამებაში მონაწილე პირების დასჯას!

სულხან მოლაშვილის წამებაში მონაწილე პირების დასჯის მოთხოვნით პეტიცია ვრცელდება

ქართველი საზოგადოება უკანასკნელ გზაზე გააცილებს უცხოეთში გარდაცვლილ სულხან მოლაშვილს. ჩვენი მოქალაქეებისათვის ცნობილია იმ მძიმე სულიერი და ფიზიკური განსაცდელის შესახებ, რაც ბოროტმა რეჟიმმა განუწესა ამ ღირსეულ, ქედმოუხრელ ვაჟკაც კაცს. სწორედ მისი ღირსეული, მედგარი ქცევა და ჭირთათმენა გვაძლევს საფუძველს, რომ ამ ცრემლსა და მწუხარებაში ვიპოვოთ სიამაყის მიზეზი. ამ ჩვენს, ზნეობრივი მაგალითებით ღარიბ დროში, სწორედ სულხანმა გვიჩვენა ბოროტებასა და ძალადობაზე მორალური გამარჯვების მაგალითი. არჩევანი ზნეობრივ კომპრომისსა და სხეულებრივ ტანჯვას შორის მან ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერებს გვჯერა, რომ ქართული მართლმსაჯულება და საქართველოს ისტორია საკადრის პასუხს გასცემს და სათანადო ადგილს მიუჩენს სააკაშვილის ბოროტი რეჟიმის დამნაშავე წარმომადგენლებს!

ავთანდილ არაბული აკადემიკოსი
თემურ ნანეიშვილი აკადემიკოსი
ალექსანდრე ხარაზიშვილი აკადემიკოსი
თამაზ ჯოლოგუა პროფესორი
გოგი ანთელავა პროფესორი
ზაზა შათირიშვილი ფილოსოფოსი
ლევან გაჩეჩილაძე ბიზნესმენი
შოთა გლურჯიძე მხატვარი
კოტე ჯანდიერი მწერალი
ბიძინა გეგიძე საზოგადო მოღვაწე
ბასა ფოცხიშვილი რეჟისორი
ნანა შონია მსახიობი
გია გაჩეჩილაძე (უცნობი) მომღერალი
გელა დოლიძე ფიზიკოსი
გიგა ბათიაშვილი საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი
ნინელი ჭანკვეტაძე მსახიობი
თემურ გოცაძე საქართველოს სახალხო მხატვარი
მარინა ჯანაშია საქართველოს სახალხო არტისტი
გოგი პაპინაშვილი მსახიობი
ნუგზარ ბაგრატიონი რეჟისორი
ზურაბ ყიფშიძე მსახიობი
ნანა კაკაბაძე უფლებადამცველი
გელა ნიკოლაიშვილი იურისტი
გია ტაბლიაშვილი იურისტი
ენძელა მაჭავარიანი ჟურნალისტი
ხელმოწერები გრძელდება

დღეის მონაცემებით, შეგროვებულია 20.000 ხელმოწერა

კომპიუტერულად დამუშავებული ხელმოწერთა სია იხილე დანართში
https://manifest.ge/main/item/889

ჯონდი ბაღათურია: „ბურჯანაძის პარტიასთან განხეთქილება არ გვაქვს“

ნონა ცაბაძე

რატომ არ აქტიურობს ოპოზიცია? გაიყარა თუ არა ბურჯანაძისა და ბაღათურიას გზები? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობას“ ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია, საზოგადოება პოლიტიკურად აქტიურ ზაფხულს ელოდა, თუმცა პროცესები მდორედ მიმდინარეობს. რატომ არის ოპოზიცია ასეთი პასიური?

– ჩვენ ვაქტიურობთ, თუმცა ეს არ ჩანს, რადგან ელექტრონული მედია ტოტალურად კონტროლდება „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის მიერ. ჯერ პოლიტიკური პარტიებიც არ არიან ჩამოყალიბებული საკუთარ სტრატეგიაზე. ბევრი პარტია ჯერ ისევ ერთმანეთში ლაპარაკობს. საკმაოდ მაღალი ტემპერატურა გველის სექტემბერში.

– ასევე საუბარია, რომ სარეკლამო დრო არათანაბარ პირობებში აყენებს ოპოზიციურ პარტიებს, პრეზიდენტისგან მოითხოვენ, აღნიშნულ კანონპროექტს ვეტო დაედოს. რამ გამოიწვია ოპოზიციის პროტესტი?

– ოპოზიციის პროტესტი გამოიწვია იმან, რომ პარტიის ერთი ნაწილის ხარჯზე, რომელსაც მოაკლეს სარეკლამო დროის ლიმიტი, გადაუნაწილეს კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს. ეს არ იყო კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ჩვენ მხარს ვუჭერთ ოპოზიციურ პარტიებს, თუმცა მთავარი მაინც ქართველი საზოგადოების აქტიურობა იქნება.

– ამბობენ, რომ თქვენსა და ბურჯანაძის პარტიას შორის სერიოზული განხეთქილებაა და ამ არჩევნებზე ერთად აღარ იქნებით. რას იტყვით?

– ეს არსაიდან მოტანილი ტყუილია, რასაც საფუძველი არ აქვს. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ, მალე ჩამოვყალიბდებით საარჩევნო თანამშრომლობის ფორმატზეც და ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსკლუზიურად პირველს გაცნობებთ.

ჩვენი საგარეო კურსი სერიოზულ გადახედვას მოითხოვს. ჩამოსაყალიბებელია ახალი სტრატეგია. საქართველომ უნდა დაიწყოს თავისი გეოპოლიტიკური უპირატესობის გამოყენება ერის ინტერესებისთვის. დღეს ამ უპირატესობას შეერთებული შტატები იყენებს და ქვეყანას იყენებს, როგორც პლაცდარმს, რუსეთზე შეტევისთვის.

– გასულ კვირას ქვეყანას ჯონ კერი სტუმრობდა, ოპოზიციაში გაკეთდა განცხადებები, რომ ჩვენთან ყოველი არჩევნების წინ ასე ხდება, ხელისუფლება მითითებებს იღებს. ამჯერად რა მითითებები მიიღო ხელისუფლებამ?

– პირველ რიგში, ეს იყო უფროსი ძმის ვიზიტი უმცროს ძმასთან, რომლის ამოცანა იყო ახალი რეკომენდაციების მიცემა ქვეყნის პოლიტიკური სპექტრისთვის. მართული პოლიტიკური სპექტრისთვის. ქვეყანა დასავლეთიდან მოსული რეკომენდაციებით კი არ უნდა იმართებოდეს, უნდა იმართებოდეს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. ქვეყანას უნდა ჰქონდეს საგარეო კურსი, უნდა ჰქონდეს სამეზობლო პოლიტიკა.

– თქვენ ამტკიცებთ, რომ მითითებები მიიღო ხელისუფლებამ ამერიკიდან?

– რა თქმა უნდა! ასევე ხელისუფლებამ მიიღო დავალება, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს ლიბერალური ფრთა. ჯონ კერი წარმოადგენს სწორედ იმ ფრთას, რომლის მიზანიც არის ლიბერალური ძალების გაბატონება მთელ მსოფლიოში. საკმაოდ არადიპლომატიური იყო მისი ჟესტი.

– რა კუთხით?

– ის შეხვდა მხოლოდ მედასავლეთე ლიბერალურ ძალებს: „ქართულ ოცნებას“, ნაციონალურ მოძრაობასა და თავისუფალ დემოკრატებს. ჩვენთან შეხვედრა არ ისურვა. მან განსხვავებული აზრის მოსმენა არ ისურვა.

– ასეთის რის თქმას აპირებდით?

– ჩვენგან მოისმენდა განსხვავებულ აზრს დასავლეთზე.

– იყო თქვენი მხრიდან ინიციატივა მასთან შეხვედრის და უარი მიიღეთ?

– ჩვენ მისთვის წერილების წერა ნამდვილად არ დაგვიწყია. როცა მაღალი რანგის სტუმარი ჩამოდის, ოპოზიციური პარტიების ძირითად შემადგენლობას ხვდება ხოლმე. მე არ ვიცი, რატომ ვეპატარავეთ ჯონ კერის თვალში. ცხადია, რომ ჩვენთან შეხვედრა რ ისურვა.

– დღეს აქტიურად საუბრობენ ნატოს წევრობაზე, თუმცა საზოგადოების ნაწილი ამას პესიმისტურად ხვდება.

– ნატოს წევრობაზე დღეს საუბარი არ არის!

– გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი და ეს პოზიცია აღარ გადაიხედება.

– გიორგი მარგველაშვილის განცხადებებს დამაჯერებლობა ხშირად აკლია და არგუმენტები არ აქვს ხოლმე. ფუჭია მათი განწყობები იმის თაობაზე, რომ თუ ჩვენ ნატოში გავწევრიანდებით, ეს ქვეყანას გააძლიერებს.

– თქვენ რეფერენდუმის ინიციატივით გამოდიხართ. რასთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი?

– ჩვენ 28 ივნისს განაცხადი შევიტანეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეფერენდუმის მოთხოვნით, შეკითხვით – უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში? 4 ივლისს ცესკომ ამ თემაზე პირველი სხდომა ჩაატარა, სადაც მოხდა სარეფერენდუმო შეკითხვის ფორმულირების დაზუსტება.

– ცესკომ უარი არ გითხრათ?

– ამ ეტაპზე მხოლოდ სარეფერენდუმო შეკითხვის ფორმულირება დაზუსტდა. კითხვა იქნება ასეთი: უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში? და ბიულეტენებში პასუხები იქნება დიახ ან არა. ცესკომ ერთი თვის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და დაამზადოს სპეციალური ბლანკი კოდით, რომელზეც უნდა მოხდეს ხელმოწერების შეგროვება. ამ ბლანკების დამზადების შემდეგ ჩვენ უკვე გვყავს გამზადებული სტრუქტურა და ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას.

– შეაგროვებთ?

– კანონი 200.000 ხელმოწერის შეგროვებას ითხოვს, მაგრამ ჩვენ ვგეგმავთ ამ რეფერენდუმის მხარდასაჭერად ერთი მილიონი ხელმოწერის შეგროვებას და ამისთვის ყველაფერი მზად არის!

– უარი რომ გითხრათ ცესკომ?

– ცესკოს საფუძველი არ აქვს უარის თქმის. უარის თქმის შემთხვევაში უნდა მიუთითოს კანონის ნორმა, რაზე დაყრდნობითაც ამბობს უარს. უარის თქმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ მოვძებნით 200.000 მხარდამჭერს იმისთვის, რომ გაიმართოს რეფერენდუმი.

ოთარ დანელია: „ყველაზე დიდი ტრაგედია გარდაცვლილი ადამიანებია, დანარჩენს ყველაფერს ეშველება“

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია სამეგრელოს რეგიონში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა და არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნო. ძლიერი წვიმისა და წყალდიდობის შედეგად მარტვილის, აბაშისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში დატბორილია საცხოვრებელი სახლები, გზები და სახნავ-სათესი მიწები. განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სიმინდისა და სოიოს ყანები. საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ. შესაბამისი სამსახურების მიერ ხიდებისა და გზების გაწმენდა აქტიურად მიმდინარეობს.

– დასავლეთში სტიქია მძვინვარებს. ზარალი საკმაოდ დიდია. არსებულ ვითარებას გავეცანი მარტვილში, აბაშასა და სენაკში. ვითარება ყველგან საკმაოდ რთულია. დატბორილია ათასობით ჰექტარი ფართობი, სასოფლო-სამეურნეო სავარგული, განადგურებულია მოსავალი. ზარალის დამთვლელი კომისია ადგილზე მუშაობს. ყოველ 10 წუთში განახლებულ ინფორმაციებს ვიღებთ. სამწუხაროდ, ზარალი, ალბათ, დიდი იქნება. ძირითადად, ინფრასტრუქტურული მიმართულებით, რადგან რამდენიმე ხიდი წყალმა მთლიანად წაიღო, განადგურებულია სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზებიც. მაგრამ ყველაზე დიდი ტრაგედია ორი გარდაცვლილი ადამიანია. ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, დანარჩენს ყველაფერს ეშველება, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

კალათბურთის ფედერაციის მიერ გადახდილი მილიონები ქართველი სპორტსმენების მომზადებას არ ხმარდება

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2.500.000 ევროს ღირებულების პროექტი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. კონტრაქტის საეჭვო დეტალებზე სპორტის მესვეურებიც ალაპარაკდნენ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ყოფილი მინისტრის, ლევან ყიფიანის დროს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციას“ (GBF), „ფონდ 5+11“ და „სასკო ბასკონია S.A.D“ შორის 2014 წლის 27 სექტემბერს 5-წლიანი ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. კონტრაქტის მიხედვით, ესპანელ მწვრთნელებს კალათბურთის ეროვნული ნაკრებისთვის 16-დან 20 წლამდე მოთამაშეები უნდა მოემზადებინათ. საქართველოს ბიუჯეტს პროექტის განხორციელება 2.500.000 ევრო უჯდება.

კალათბურთის ფედერაციის მიერ 2015 წლის 2 თებერვალს მინისტრისადმი, ლევან ყიფიანისადმი მიწერილ წერილში წერია: „ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები მიმართული იქნება მხოლოდ ქართველი ახალგაზრდა სპორტსმენების მაღალკვალიფიციური და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამის კალათბურთელებად ჩამოყალიბების მიზნებისთვის“.

2 წლის განმავლობაში, კონტრაქტის ფარგლებში, არცერთი ქართველი კალათბურთელი არ მომზადებულა. როგორც გაირკვა, „სასკო ბასკონიის“ ბაზაზე ამ ხნის განმავლობაში ერთი ქართველი კალათბურთელი, ლუკა ბულეიშვილი ვარჯიშობდა, რომლის მომზადების საფასურიც (17.000 ევრო) ოჯახმა გადაიხადა. ცალკე საკითხია, როგორ აღმოჩნდა ლუკა ბულეიშვილი ფედერაციის კონტრაქტით გათვალისწინებული გრანტით დაფინანსებულთა სიაში, როცა ყველა ხარჯი კალათბურთელის ოჯახმა აანაზღაურა.

კალათბურთის ფედერაციამ ამჟამინდელ მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილს პროექტის მიმდინარეობის ანალიზი გაუგზავნა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ამ ეტაპზე გრანტის მქონე მოთამაშეებიდან 9 უცხოელია და სამი ქართველი. ქართველებს შორის არის ლუკა ბულეიშვილიც.

ანალიზის გრაფაში: „მოთამაშეები, რომლებსაც აქვთ გრანტი ჩვენი ხელშეკრულებით“, სიტყვასიტყვით ვკითხულობთ:

დანიელ ბორდინინო, კარლოს მარტინესი, ტადას ხედერკაკისი, რინალდს მალმანისი, პილიპ პრეტრუსევი, ჯურიჯ მაკურა, არტურ კურუჩი, დავიდ პეტრუსევი, დევონ ვან ოსტრუმი;

ქართველი მოთამაშეები ჩვენი ხელშეკრულებით: ლუკა ბულეიშვილი, გიორგი ტურძელაძე, ნიკა დარბაიძე.

გიორგი ტურძელაძესა და ნიკა დარბაიძეს მომზადება არ გაუვლიათ და ისინი მოკლე დროში საქართველოში დაბრუნდნენ. ირკვევა, რომ ფედერაციის გრანტით არცერთი ქართველი კალათბურთელი არ დაფინანსებულა. 2 წლის განმავლობაში უცხოური კლუბისთვის გადარიცხული ასიათასობით ევრო ჯერჯერობით 9 უცხოელი კალათბურთელის მომზადებას მოხმარდა.

კალათბურთის ფედერაციის მიერ მინისტრისადმი მიწერილ წერილში დადებული პირობა, რომ „ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები მიმართული იქნება მხოლოდ ქართველი ახალგაზრდა სპორტსმენების მაღალკვალიფიციური და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამის კალათბურთელებად ჩამოყალიბების მიზნებისთვის“, ტყუილი აღმოჩნდა.

ასევე, ტყუილი აღმოჩნდა კიდევ ერთი პირობა, რომელიც ხსენებულ წერილშია დაფიქსირებული: „პროექტით გათვალისწინებულია ქართველი მწვრთნელების გადამზადება და ახალი მწვრთნელებისთვის პერსპექტივების შექმნა, რათა მათ შეძლონ, აიმაღლონ კვალიფიკაცია „სასკო ბასკონიის“ სამწვრთნელო ჯგუფთან მუშაობის გზით, მოხდეს მათი ჩართვა კლუბის საწვრთნელ სტრუქტურებში და შემდეგში საქართველოში გაუზიარონ კოლეგებს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება“.

2 წლის განმავლობაში „სასკო ბასკონიის“ ბაზაზე არცერთი ქართველი მწვრთნელი არ ყოფილა და, შესაბამისად, არც კლუბის საწვრთნელ სტრუქტურაში ჩართულა ვინმე და არც ქართველი კოლეგებისთვის გაუზიარებია გამოცდილება.

რაში დაიხარჯა 2 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტიდან გადახდილი მილიონობით ლარი, კალათბურთის ფედერაცია ვერ აკონკრეტებს. ხელშეკრულების მიხედვით, თითო ქართველი სპორტსმენის მომზადებაში უცხოური კლუბი 30.000 ევროს იღებს. თანხა გადახდილია – საქმე კი არ ჩანს, პროექტის ფარგლებში 2 წლის განმავლობაში არცერთ ქართველ სპორტსმენს მომზადება არ გაუვლია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ სასკი ბასკონია ლაბორალ კუჩაში ეს კალათბურთელები 2015-2016 წლებში

ორი მილიონი ლარით დააფინანსა

კარლოს მარტინეზი, დანიელ ბოროდინონი, ტარას სედერკაკისი, რონალდს მალმანისი, ფილიპ პეტრუსევი, ჯერიჯ მაკურა, დავიდ პეტრუსევი, არტურ კურუჩი, დევონ ვან ოსტრუმ

ესენი ვინ არიან?

აფხაზები არჩევნებით დაიღალნენ

შორენა მარსაგიშვილი

რას იზამს ოპოზიცია

აფხაზური ოპოზიციის მონდომება წყალში ჩაიყარა. მათი ყველა მცდელობა, ხალხი რეფერენდუმზე გამოეყვანათ, კრახით დასრულდა. მოახლოებულ უბედურებას ოპოზიცია თავადაც გრძნობდა. მათ გასულ კვირას რეფერენდუმის შემოდგომაზე გადატანა მოითხოვეს. მათივე მტკიცებით, ხელისუფლება მოსახლეობას აშინებდა და რეფერენდუმზე მისვლას უკრძალავდა.

ყველაზე მეტი პრეტენზია მერეფერენდუმეებს შს მინისტრის ლეონიდ ძაპშბას მისამართით ჰქონდათ. მათ ძაპშბას გადადგომის მოთხოვნით შსსთან არეულობაც მოაწყვეს და რამდენჯერმე ცადეს მისი შტურმით აღება. ერთ-ერთი მცდელობისას სამინისტროს მოლოტოვის კოქტეილიც კი ესროლეს.

რესპუბლიკის ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ შს მინისტრი დროებით გადააყენა, რეფერენდუმის გადატანაზე კი უარი თქვა.

ოპოზიციის მოწოდებების მიუხედავად, მოსახლეობამ რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა. ასეთი დაბალი აქტივობა აფხაზურ პოლიტიკას არ ახსოვს.

გაგრაში 26.317 ამომრჩეველია რეგისტრირებული. შუადღისთვის საარჩევნო უბანზე მხოლოდ 320 ადამიანი მივიდა.

ამომრჩევლის აქტივობის თვალსაზრისით კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო გუდაუთაში. აქ 23.000 ამომრჩეველია, მაგრამ შუადღისთვის საარჩევნო უბანზე მხოლოდ 150 ადამიანი მივიდა.

გულრიფშის რაიონში 5.098 ამომრჩეველია რეგისტრირებული. 13 საათისთვის საარჩევნო უბანზე მხოლოდ 33 მათგანი იყო მისული.

ახალ ათონში სარეფერენდუმო კითხვაზე პასუხის გაცემა 15 საათისთვის მხოლოდ 13-მა ამომრჩეველმა მოისურვა.

დაბალი იყო აქტივობა სხვა ქალაქებშიც. ყველაზე კატასტროფული ვითარება ტყვარჩელში შეიქმნა. აქ საარჩევნო უბანზე მხოლოდ 9 ადამიანი გამოცხადდა.

ტყვარჩელში ამბობენ, რომ მათთან ასეთი დაბალი აქტივობა არასდროს ყოფილა. ერთ-ერთი ამომრჩეველი დიანა ბაგათელია ტყვარჩელელთა პასიურობას ასეთ ახსნას უძებნის:

– ჩვენთან ყოველ წელს ტარდება არჩევნები, ხან თვითმმართველობებს ვირჩევთ, ხან პარლამენტს, ხანაც პრეზიდენტს. დაიღალა ხალხი ამდენი არჩევნებით.

აფხაზეთის პარლამენტის წევრი კან კვარჩია კი დაბალ აქტივობას მოსახლეობის მოუცლელობით ხსნის. მისი თქმით, მოსახლეობის ნაწილი მოუცლელობის გამო ვერ მივიდა საარჩევნო უბანზე, ნაწილს ამის განწყობა არ ჰქონდა.

– მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არის დაკავებული. მათ რეფერენდუმზე წასასვლელად არც დრო ჰქონდა და არც განწყობა. მე ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვარ, ხშირად მიწევს მოსახლეობასთან შეხვედრები, კარგად ვიცი მათი განწყობები. ოპოზიციის მოწოდებებს მათზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კან კვარჩიამ.

აფხაზური ცესკოს მონაცემებით, 12 საათისთვის საარჩევნო უბნებზე მხოლოდ ამომრჩეველთა 0.54% მივიდა.

ამომრჩეველთა პასიურობას ნორმალურ პროცესად მიიჩნევს აფხაზი დეპუტატი ლეონიდ ჭამაღუა. მისი თქმით, საკითხი, რომელიც ოპოზიციამ დააყენა, მოსახლეობისთვის აქტუალური არ არის.

– ოპოზიციამ რეფერენდუმზე დააყენა შემდეგი საკითხი: უჭერთ თუ არა მხარს პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს. ეს საკითხი მოსახლეობაში აქტუალური არაა. ხალხი მხარს უჭერს რაულ ხაჯიმბას. ამომრჩეველი აცნობიერებს, რომ პრეზიდენტი მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს იყენებს, რათა დაპირებები შეასრულოს, – ამბობს დეპუტატი.

რეფერენდუმთან დაკავშირებით საბოლოო მონაცემები ამ დღეებში გამოქვეყნდება. ოპოზიცია სამოქმედო გეგმას, სავარაუდოდ, დღეს, 11 ივლისს გამოაცხადებს. მათ ჯერ კიდევ წინა კვირას განაცხადეს, რომ ხელისუფლების ზეწოლის შედეგად ხალხი რეფერენდუმზე მისვლას ვერ ბედავს. მოლოდინმა გაამართლა და ხალხი მართლაც არ მივიდა საარჩევნო უბნებზე.

ვნახოთ, ახლა რომელი სახელმწიფო სტრუქტურის შტურმს შეეცდება ოპოზიცია. გასულ კვირას ამტკიცებდნენ, რომ ამომრჩეველს თითქმის ყველა სამინისტრო დამუქრა. ასე რომ, მათი სამიზნე შესაძლოა ნებისმიერი უწყება გახდეს. სამთავრობო შენობების შტურმი მათთვის, სავარაუდოდ, ცუდად დასრულდება. წინა კვირას შსს-ს მოლოტივის კოქტეილით მორწყვისთვის მათზე საქმე აღიძრა.

სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ლიბერთი ბანკის წარმომადგენლებმა მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და მიუსაფართა თავშესაფრების პატრონაჟის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

სოციალური სააგენტოს დირექტორმა, ბატონმა ზაზა სოფრომაძემ და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ალექსი ხოროშვილმა გუშინ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, ლიბერთი ბანკი, მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორმოცდაათი მცირე საოჯახო ტიპის სახლისა და მიუსაფართა თავშესაფრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის სრულ ანაზღაურებას უზრუნველყოფს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი 325 ბავშვი ცხოვრობს, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრები კი თბილისსა და რუსთავში ფუნქციონირებს, სადაც ყოველდღიურად მომსახურებას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 60-მდე ბავშვი იღებს. ბავშვები, საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, ასევე იღებენ ისეთ მომსახურებებს, როგორებიცაა ფსიქოლოგიური დახმარება, ფორმალურ განათლებაში ხელშეწყობა, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა, პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარება.

– მოხარული ვარ, რომ ლიბერთი ბანკთან მორიგი ნაყოფიერი თანამშრომლობით შევძელით 50 მცირე საოჯახო ტიპის სახლის და მიუსაფართა თავშესაფრის კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველყოფა. გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები საშუალებას მოგვცემს, უფრო აქტიურად ვიზრუნოთ ამ ცენტრების ბენეფიციარების სხვა პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარებაზე. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ლიბერთი ბანკს გაწეული პატრონაჟისთვის, – აღნიშნა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ბატონმა ზაზა სოფრომაძემ.

– სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ლიბერთი ბანკი მუდამ ცდილობს, იზრუნოს დაუცველ ბენეფიციარებზე. მოხარული ვარ, რომ გავზარდეთ ქველმოქმედების სპექტრი და უკვე ორმოცდაათი მცირე საოჯახო ტიპის სახლისა და მიუსაფართა თავშესაფრის დახმარებას შევძლებთ. – აღნიშნა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა.

ვანო ჩხარტიშვილი პატარკაციშვილის ქონების მითვისებას ისევ ცდილობს?!

თბილისის სააპელაციო სასამართლო ლონდონის სამეფო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაითვალისწინებს

გარდაცვლილი მეგობრის გაძარცვაში ლონდონის სასამართლოს მიერ მხილებული ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი ქონების დასაბრუნებლად ბრძოლას საქართველოში კვლავ განაგრძობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმეზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე სამართლიან სასამართლოდ აღიარებულმა დიდი ბრიტანეთის სასამართლომ უკვე მიიღო.

ლონდონის სამეფო სასამართლომ პატარკაციშვილის ოჯახის სარჩელი ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ ქართული კანონმდებლობით განიხილა და დაადგინა, რომ სადავო ქონების მესაკუთრე იმ დროისთვის უკვე გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილი, შესაბამისად, ქონების მემკვიდრე, სწორედ მისი ოჯახი იყო.

მიუხედავად ამისა, ვანო ჩხარტიშვილი კვლავ განაგრძობს დავას საქართველოში. ლონდონის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, რომელმაც დაადგინა, რომ აღნიშნული ქონება მას არასდროს ეკუთვნოდა, ჩხარტიშვილი ისევ ცდილობს, მოიპოვოს უფლება პატარკაციშვილების კუთვნილ ქონებაზე.

* * *

დავა, რომლის განხილვაც ამჯერად თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაიწყო, ჩხარტიშვილმა ჯერ კიდევ 2014 წამოიწყო.

სააპელაციო სასამართლოში კომპანიების – „ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელა ვენჩერს ლიმიტედის“ წარმომადგენლებსა და ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს შორის სასამართლო პროცესი 28 ივნისს გაიმართა.

მოსარჩელე ჩხარტიშვილის განცხადებით, მას და აწ გარდაცვლილ ბადრი პატარკაციშვილს შორის ზეპირი ხელშეკრულება არსებობდა, რომლითაც „ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელა ვენჩერს ლიმიტედის“ აქტივების მესაკუთრე ჩხარტიშვილია.

იმავე საქმეზე ინგლისის სამეფო სასამართლომ ვანო ჩხარტიშვილის გამამტყუნებელი გადაწყვეტილება უკვე გამოიტანა. იმის გამო, რომ ჩხარტიშვილმა კომპანიების – „ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელას“ აქტივები მიითვისა, ინგლისის სასამართლომ ეს კომპანიები დაზარალებულად ცნო, ხოლო ჩხარტიშვილს მატერიალური ზარალის ანაზღაურება დააკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში ამ დავას სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე მაია სულხანიშვილი იხილავს. მოსამართლემ მხარეებს მორიგება შესთავაზა, რათა პროცესი, რომელიც დიდი ხანია, დროში იწელება, დროულად დასრულდეს. ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელმა მამუკა ღვინიაშვილმა პროცესზე აღნიშნა, რომ მისი მარწმუნებელი მატერიალური ზარალის ანაზღაურების წინააღმდეგი არ არის.

ჩხარტიშვილის წარმომადგენელმა „ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელას“ ადვოკატებს ცნობილი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის დაქირავება შესთავაზა, რომელიც თანხის ოდენობას განსაზღვრავდა.

„ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელას“ ადვოკატ ლაშა ბირკაიას განცხადებით, ამგვარი შეთავაზება საქმის გაჭიანურების მცდელობაა, რადგან ამ საქმეში იმდენი იურიდიული და სამართლებრივი ნიუანსია, რაც აუდიტორული კომპანიის კომპეტენციის საკითხს სცდება.

ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენლების განცხადებით, პატარკაციშვილების ოჯახი მატერიალური ზარალის – 60 მილიონი აშშ დოლარის გადახდას ითხოვს, რასაც გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის ინტერესების დამცველები უარყოფენ.

ჩხარტიშვილის წარმომადგენელმა მხოლოდ 10 მილიონი აშშ დოლარის გადახდის სურვილი გამოთქვა.

საბოლოოდ, მოსამართლე მაია სულხანიშვილმა მხარეებს 35 მილიონ აშშ დოლარზე მორიგება შესთავაზა. ცხადია, ამ საკითხს ადვოკატები ვერ გადაწყვეტენ და ამიტომ მოსამართლის ეს მორიგება საკუთარ მარწმუნებლებს უნდა გადასცენ.

28 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე ივანე ჩხარტიშვილის წარმომადგენელმა მამუკა ღვინიაშვილმა მოსამართლე მაია სულხანიშვილს შუამდგომლობითაც მიმართა.

შუამდგომლობა საქმეში ახალი მტკიცებულების წარდგენას, მტკიცებულებათა გამოთხოვასა და მოწმის დაკითხვას ეხება იმ სააპელაციო საჩივარზე, რომლის საფუძველს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება:

„დადგენილ იქნეს, რომ ივანე ჩხარტიშვილსა და არკადი (ბადრი) პატარკაციშვილს შორის, 2004 წლის ივლისში დაიდო ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომელიც 2013 წლის 26 დეკემბერს შეწყდა; დადგენილ იქნეს, რომ ერთობლივი საქმიანობის კუთვნილი ს/ს „ფოთის წისქვილქარხნის“ აქციათა 92.5%, „ბლუ ტროპიკ ლიმიტედის“ მიერ მათი გაყიდვის მომენტში წარმოადგენდა ივანე ჩხარტიშვილის, ინა გუდავაძის, ლიანა ჟმოტოვას, ია პატარკაციშვილისა და ნათელა პატარკაციშვილის ერთობლივი საქმიანობის საკუთრებას და მათი რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი და სარგებელი ეკუთვნოდა ამ ერთობლივ საქმიანობას.

სააპელაციო სასამართლოს ვაცნობებ, რომ ს/ს „ფოთის წისქვილქარხანას“ საკუთრებაში გააჩნდა ფოთში მდებარე მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად და სხვადასხვა სახის მოძრავი ნივთები. აღნიშნული ქონება, 2010 წლის 20 დეკემბერს, ს/ს თიბისი ბანკის მიერ ჩატარებულ აუქციონზე, ამავე ბანკმა შეიძინა, ხოლო ორ დღეში, ანუ 22 დეკემბერს, შპს „აგრიკომზე“ გადაყიდა.

ს/ს „ფოთის წისქვილქარხნის“ შეფასებით, აუქციონის ჩატარებისა და ქონებაზე განხორციელებული შემდგომი ტრანზაქციებით, მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმები დაირღვა, რის გამოც მან სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, 2015 წლის 28 იანვრის სასამართლო სხდომაზე ამ საქმეზე მოწმედ დაიკითხა ს/ს „ფოთის წისქვილქარხნის“ ქონების დღევანდელი მესაკუთრის, შპს „აგრიკომის“ დამფუძნებელი, კონსტანტინე (კოკი) ოსიპოვი. მან დეტალური და საქმის გადაწყვეტისთვის ღირებული ჩვენება მისცა სასამართლოს. კერძოდ, კოკი ოსიპოვმა განმარტა, რომ 2000 წლიდან, აქტიურადაა ჩართული წისქვილის ბიზნესში და „ფოთის წისქვილქარხნის“ შეძენის ინტერესიც ჰქონდა. 2009 წლიდან, კომპანიის შეძენის მიზნით, ის მოლაპარაკებას აწარმოებდა ივანე ჩხარტიშვილთან“, – აღნიშნულია შუამდგომლობაში.

მამუკა ღვინიაშვილმა სასამართლოს დაწვრილებით განუმარტა ოსიპოვი-ჩხარტიშვილის მოლაპარაკების დეტალები.

მისი თქმით, 2009-2010 წლებში, ოსიპოვი და ჩხარტიშვილი წისქვილკომბინატის ფასზე ვერ შეთანხმდნენ და საბოლოოდ ეს აქტივი კოკი ოსიპოვმა თიბისი ბანკისგან შეიძინა. 2011 წლის გაზაფხულზე ოსიპოვს პატარკაციშვილის მემკვიდრეები შეხვდნენ. მათ ოსიპოვს წარუდგინეს დოკუმენტები, რომ „ფოთის წისქვილქარხნის“ ქონება პატარკაციშვილების საკუთრებას წარმოადგენდა, შესაბამისად, კოკი ოსიპოვმა მათ 1 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა.

მამუკა ღვინიაშვილის განმარტებით, კოკი ოსიპოვის ეს ჩვენებები სარჩელში მითითებულ გარემოებას ადასტურებს. მიუხედავად „ბლუ ტროპიკ ლიმიტედის“ სახელზე „ფოთის წისქვილქარხნის“ აქციების რეგისტრაციისა, ქონების რეალურ მესაკუთრეს ივანე ჩხარტიშვილისა და არკადი პატარკაციშვილის ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა წარმოადგენდა. შესაბამისად, მამუკა ღვინიაშვილმა სააპელაციო სასამართლოს შესთავაზა, რომ კოკი ოსიპოვი კიდევ ერთხელ დაკითხონ.

* * *

ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენლის მტკიცებით, ამ საქმეზე ერთ-ერთ სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს უნივერმაღ „თბილისთან“, ლილოს დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთთან და თბილისში, ფხოვის №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნული ფაქტების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოში ორჯერ მოწმედ დაიკითხა გიორგი ქავთარაძე. ქავთარაძემ განმარტა, რომ „კოპელა ვენჩერს ლიმიტედის“ მიერ, უნივერმაღ „თბილისის“ შესაძენად საჭირო თანხის ნახევარი – 450.000 აშშ დოლარი, „გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა“ (გქბ) სესხად მისცა პირადად მას, ხოლო თანხის მეორე ნახევარი – 450.000 აშშ დოლარი, მას ნაღდი ფულის სახით მისცეს, თუმცა ვერ გაიხსენა, ვინ მისცა. ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვინ დაფარა შემდგომში მის სახელზე გაცემული სესხი – 450.000 აშშ დოლარი, ქავთარაძემ განმარტა, რომ არ ახსოვს, მაგრამ დაზუსტებით აღნიშნა, რომ ივანე ჩხარტიშვილს, ან მასთან დაკავშირებულ პირს არ დაუფარავს.

მამუკა ღვინიაშვილის ინფორმაციით, გიორგი ქავთარაძის სახელზე გაცემული სესხი ივანე ჩხარტიშვილის ფულადი თანხით დაიფარა. მისი თქმით, ივანე ჩხარტიშვილი ფლობდა შპს „დიდუბე პლაზას“ კაპიტალის 34%-ს, რომელიც გიორგი ქავთარაძის სახელზე იყო გაფორმებული. 2006 წლის 15 ივნისს, სამეწარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილებებით, გიორგი ქავთარაძემ 34%-დან 30% თურქ ბიზნესმენ ომერ სარს, ხოლო 4% – გიორგი კანდელაკს მიჰყიდა.

მამუკა ღვინიაშვილის განმარტებით, სწორედ აღნიშნული წილების რეალიზაციიდან მიღებული თანხით დაიფარა გქბ-დან აღებული სესხი, რათა უნივერმაღი „თბილისი“, ლილოსა და ფხოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთები შეეძინათ. შესაბამისად, მამუკა ღვინიაშვილმა მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა, რომ ვითიბი ბანკ ჯორჯიადან (ყოფილი გქბ) გამოითხოვონ 2006-2007 წლების პერიოდში, გიორგი ქავთარაძის სახელზე გაცემული სესხების საკრედიტო ხელშეკრულებები და ამ კრედიტების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები.

მოსამართლე მაია სულხანიშვილმა მამუკა ღვინიაშვილის შუამდგომლობა მოისმინა და მისი განხილვა შემდგომ პროცესზე გადადო. ამ საქმის მორიგი სასამართლო სხდომა 27 სექტემბერს ჩაინიშნა.

მოსამართლე მაია სულხანიშვილმა 28 ივნისის სხდომაზე მხოლოდ „ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელა ვენჩერს ლიმიტედის“ ადვოკატის, ლაშა ბირკაიას შუამდგომლობა დააკმაყოფილა. კომპანიების წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა, რათა ამ საქმეზე ინგლისის სამეფო სასამართლოს გადაწყვეტილება მხედველობაში მიეღო.

* * *

2013 წელს ოფშორულ ზონაში, კერძოდ, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულმა ორმა კომპანიამ – „ბლუ ტროპიკმა“ და „კოპელამ“ – ინგლისის სასამართლოში სარჩელი აღძრა.

სარჩელი ეხებოდა საქართველოში არსებულ უძრავ ქონებასა და საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებში არსებულ წილებს.

დოკუმენტების მიხედვით, „ბლუ ტროპიკსა“ და „კოპელაში“ წილებს ფლობს დისკრეციული სატრასტო კომპანია „ნაილ ტრასტი“, რომლის პირდაპირ მითითებული ბენეფიციარი მფლობელი იყო ბადრი (არკადი) პატარკაციშვილი. ამ სარჩელზე მოპასუხე მხარეს ქართველი ბიზნესმენი და ყოფილი სახელმწიფო მოღვაწე ვანო ჩხარტიშვილი წარმოადგენდა, რომელსაც მილიარდერ ბადრი პატარკაციშვილთან საქმიანი ურთიერთობები ამ უკანასკნელის სიცოცხლეში ჰქონდა.

„ბლუ ტროპიკმა“ და „კოპელამ“ იურისტ გიორგი ქავთარაძეზე გასცეს მინდობილობები, რომლებითაც მას ფართო უფლებამოსილებები მიანიჭეს. გიორგი ქავთარაძე პატარკაციშვილისთვის ცნობილი ქართველი იურისტი იყო, რომელმაც ჩხარტიშვილისთვისაც დაიწყო მუშაობა და საშუალება მიეცა, მოსარჩელეების ქონება/აქტივები განეგო.

ჩხარტიშვილმა გიორგი ქავთარაძეს დაავალა,



ესარგებლა მინდობილობებით და ხსენებული აქტივები მოსარჩელეებიდან მოპასუხის საკუთრებაში არსებულ, ან კონტროლირებად კომპანიებზე გაესხვისებინა.

მოსარჩელეები აცხადებენ, რომ ამ გასხვისებებში ჩხარტიშვილს ანაზღაურება არ გადაუხდია და ამ გასხვისებების უმრავლესობა პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთი თვის ვადაში განხორციელდა.

ვანო ჩხარტიშვილის დავალებით, გიორგი ქავთარაძემ 2008 წლის 10 მარტს განხორციელებული გარიგებით, გარდაცვლილი ბიზნესმენის ქონება მნიშვნელოვნად დაბალ ფასად გაყიდა, მაგრამ „ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელას“ ანგარიშებზე ეს თანხა არ გადარიცხულა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ „ბლუ ტროპიკი“ ფლობდა სს „ფოთის წისქვილქარხნის“ 92.85%-იან წილს. ჩხარტიშვილის დავალებით, გიორგი ქავთარაძემ ეს აქციები 2008 წლის 5 მარტს გაყიდა. იმავე დღეს „ფოთის წისქვილქარხნის“ აქციები შეისყიდა შპს „სონატა ალიანს ჯორჯიამ“, რომლის მფლობელია სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული, ჩხარტიშვილისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული კომპანია შპს „სონატა ალიანს ინკი“.

„კოპელას“ საკუთრებაში იყო თბილისში, რუსთაველის 2/4-ში მდებარე უნივერმაღი „თბილისი“, რომელიც ამ კომპანიამ 2004 წელს, შპს „გედეონისა“ და ზურაბ ალავიძისგან 900.000 აშშ დოლარად შეიძინა. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც 2007 წლის 17 აგვისტოთი თარიღდება, გიორგი ქავთარაძემ „კოპელას“ სახელით გააფორმა.

ამ ხელშეკრულებით „კოპელამ“ უნივერმაღი „თბილისი“ 12.275.000 აშშ დოლარად შპს „მოვატ ჯორჯიას“ მიჰყიდა. „მოვატ ჯორჯიამ“ ეს ფული „კოპელას“ საქართველოს ფილიალის საბანკო ანგარიშზე, კერძოდ, თიბისი ბანკის ანგარიშზე ჩარიცხა.

ამ ტრანზაქციიდან 13 დღეში, ანუ 2007 წლის 30 აგვისტოს, უნივერმაღ „თბილისის“ რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხიდან, გიორგი ქავთარაძემ 10 მილიონი აშშ დოლარი ჩხარტიშვილის კუთვნილი კომპანიის ანგარიშზე გადარიცხა. ჩხარტიშვილის დავალებით, გიორგი ქავთარაძემ „კოპელას“ ანგარიშიდან 10 მილიონი აშშ დოლარი მოხსნა და „სონატა ალიანს ინკის“ ანგარიშზე ჩარიცხა.

გიორგი ქავთარაძემ ჩვენებაში განმარტა, რომ უნივერმაღი „თბილისი“ 900.000 აშშ დოლარად ბადრი პატარკაციშვილის სახსრებით შეიძინა, ჩხარტიშვილმა კი საკუთარ ჩვენებაში აღნიშნა, რომ 900.000 აშშ დოლარი მან მოიტანა, რომლის ერთი ნახევარი (450.000 აშშ დოლარი) გიორგი ქავთარაძეს ნაღდი ფულის სახით მისცა, ხოლო მეორე ნახევარი ქავთარაძემ სესხის სახით, „გაერთიანებული ქართული ბანკიდან“ აიღო.

ამის გამო, ბადრი პატარკაციშვილმა გადაწყვიტა, ინვესტიცია აღარ ჩაედო, ჩხარტიშვილმა კი უნივერმაღი გასაყიდად გაიტანა და 12.275.000 აშშ დოლარად მყიდველიც იპოვა.

საინტერესო ის არის, რომ თანხის ნახევარი – 450.000 აშშ დოლარი, რომელიც ჩხარტიშვილმა ნაღდი ფულის სახით გიორგი ქავთარაძეს მისცა, მისი ოფისის სეიფში ინახებოდა. ჩხარტიშვილმა სეიფი გახსნა, 450.000 აშშ დოლარი გამოიღო და ქავთარაძეს გადასცა, რომელმაც ეს თანხა უნივერმაღ „თბილისის“ შესაძენად გამოიყენა.

საკუთარ ჩვენებაში გიორგი ქავთარაძემ განაცხადა, რომ ეს ფაქტი არ ახსოვდა. მეტი დამაჯერებლობისთვის ვანო ჩხარტიშვილმა დააზუსტა, რომ სეიფიდან გამოღებული ნაღდი ფული – 450 000 აშშ დოლარი, ტილოს ტომარაში ჩადო და ქავთარაძეს გადასცა.

* * *

სააპელაციო სასამართლოში პროცესის დასრულების შემდეგ ივანე ჩხარტიშვილის წარმომადგენელ მამუკა ღვინიაშვილს გავესაუბრეთ.

მამუკა ღვინიაშვილი:

– ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ არის. აქედან გამომდინარე, ის, რაც ამ გადაწყვეტილებაში წერია, არ შეიძლება დადგენილ ფაქტად მივიჩნიოთ, რადგან სააპელაციო ინსტანციაში ნებისმიერი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს. შესაბამისად, ლონდონის სასამართლოს შედეგებიდან გამომდინარე, წინასწარ საუბარი ძნელია. საკითხი დგას შემდეგნაირად, გარკვეულწილად, ჩვენი მოთხოვნების სახეცვლილება განვახორციელეთ და ვეცდებით სასამართლოს დავუმტკიცოთ, რომ აქტივების მესაკუთრე რაღაც ნაწილში – ივანე ჩხარტიშვილი, ხოლო გარკვეულ ნაწილში – ჩხარტიშვილისა და ბადრი პატარკაციშვილის ერთობლივი საქმიანობის შედეგი იყო.

– ბატონო მამუკა, დავა 60 მილიონზეა, მოწინააღმდეგე მხარეს მხოლოდ 10 მილიონი შესთავაზეთ, მოსამართლემ კი 35 მილიონზე გთხოვათ მორიგება. მესმის, რომ ეს 35 მილიონი დოლარი საბოლოო გადაწყვეტილება არ არის, რადგან მხარეები უნდა შეთანხმდნენ. რამდენად მისაღებია ეს თანხა თქვენთვის?

– რაც შეეხება თანხის ოდენობას, ამაზე ვერ ვისაუბრებ, რადგან გადაწყვეტილება ჩემმა მარწმუნებელმა უნდა მიიღოს. თუმცა იმის მზაობა, რომ ეს დავები მორიგებით დასრულდეს, როგორც საქართველოში, ასევე ლონდონში, ჩემს მარწმუნებელს პირველივე დღიდან ჰქონდა. ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან გადაწყვეტილება ვანო ჩხარტიშვილმა უნდა მიიღოს. მისი სახელით შემიძლია ვისაუბრო პრინციპზე, რომ მორიგებაზე თანახმაა, თუმცა კონკრეტულ ციფრსა და დეტალებზე საუბარი ჩემს უფლებამოსილებას სცდება.

– საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შეფასებას ისევ ითხოვთ?

– არ მოვითხოვთ, ეს შეთავაზება იყო, რომელიც დღესაც ძალაშია. საკითხი დგას შემდეგნაირად: ორივე მხარე სუბიექტურია, ერთი თვლის, რომ ეს აქტივები მისია, მაგრამ მეორე მხარეც იმავეს ამტკიცებს. ვანო ჩხარტიშვილმა ჩათვალა, რომ ამ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი არა ერთმანეთში დავა, არამედ მესამე, დამოუკიდებელი სუბიექტის ჩართვა იქნება, რომელმაც უნდა შეაფასოს და განსაზღვროს მატერიალური ზარალის ოდენობა.

– შპს „აგრიკომის“ დამფუძნებლის, კოკი ოსიპოვის დაკითხვა ასე მნიშვნელოვანი რატომაა თქვენთვის?

– ეს ამ საქმესთან პირდაპირ კავშირშია, რადგან კოკი ოსიპოვმა სასამართლო პროცესზე პირდაპირ თქვა, რომ 1 მილიონი აშშ დოლარი პატარკაციშვილების ოჯახს, კონკრეტულად ირაკლი რუხაძეს გადაუხადა. ოსიპოვმა ისიც თქვა, რომ 2006-2007 წლებიდან მოყოლებული, ვანო ჩხარტიშვილს იმიტომ ელაპარაკებოდა „ფოთის წისქვილკომბინატის“ აქტივების ყიდვასთან დაკავშირებით, რომ სწორედ მას თვლიდა მესაკუთრედ.

– როდის გადაუხადა ოსიპოვმა ირაკლი რუხაძეს 1 მილიონი აშშ დოლარი?

– როგორც თვითონ ბრძანა, 2011 წლის გაზაფხულზე შედგა პირველი კომუნიკაცია პატარკაციშვილების წარმომადგენელთან და თანხაც ამ პერიოდში გადაიხადა.

* * *

საქმის დეტალებზე „ბლუ ტროპიკისა“ და „კოპელას“ ადვოკატ ლაშა ბირკაიასაც გავესაუბრეთ.

ლაშა ბირკაია:

– ივანე ჩხარტიშვილის წარმომადგენლის შუამდგომლობა ემსახურება მხოლოდ საქმის გაწელვასა და ამ პროცესის გაჭიანურების მცდელობას. საუბარია შუამდგომლობაზე, რომელიც მოცემულ დავასთან შემხებლობაში არ არის.

– ბატონო ლაშა, კოკი ოსიპოვის დაკითხვა მნიშვნელოვანი რატომაა?

– ოსიპოვმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა, მის ოჯახს 1 მილიონი აშშ დოლარი გადაუხადა. მართალია, ოსიპოვი ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას ჩხარტიშვილთან აწარმოებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილების მემკვიდრეები დაუკავშირდნენ, თანხა იმიტომ გადაუხადა, რომ მასთან, როგორც კეთილსინდისიერ შემძენთან, პრეტენზია არ ჰქონოდათ. თუმცა ჩხარტიშვილის მხარე მიიჩნევს, რომ ოსიპოვის ამ განცხადებით მისი პოზიცია გამყარდება. თუ ჩხარტიშვილს ეკუთვნოდა ეს აქტივი, მაშინ ოსიპოვმა პატარკაციშვილებს რატომ გადაუხადა ფული?

– გიორგი ქავთარაძემ რომ შპს „დიდუბე პლაზას“ 34%-იანი წილი გაყიდა, ამით რა დასტურდება?

– არაფერი! მოსამართლემაც იგივე შეკითხვა დასვა და, როგორც ნახეთ, მხარემ პასუხი ვერ გასცა.

– სად ჩანს, რომ „დიდუბე პლაზას“ 34%-იანი წილი, რომელსაც ქავთარაძე ფლობდა, ვანო ჩხარტიშვილის საკუთრება იყო?

– არსად არ ჩანს. ამ შემთხვევაში ფულის იდენტიფიცირებაც შეუძლებელია, ანუ იმის მტკიცება, რომ მაინცდამაინც ამ თანხით შეიძინეს უნივერმაღი „თბილისი“ და სხვა აქტივები, ვერ დამტკიცდება. რომც დამტკიცდეს, „დიდუბე პლაზას“ 34%-ს გიორგი ქავთარაძე ფლობდა. ჩხარტიშვილის წარმომადგენელი ამბობს, რომ თუ ამას დავადასტურებთ, ქავთარაძეს მოწმედ კიდევ ერთხელ დავიბარებთო, რადგან ფიქრობენ, ქავთარაძე დაადასტურებს, რომ „დიდუბე პლაზა“ ჩხარტიშვილის საკუთრებაში იყო.

– მოსამართლემ შემოგთავაზათ, 35 მილიონ დოლარზე მორიგდეთ, რამდენად მისაღებია ეს თანხა თქვენთვის?

– მორიგების საკითხი მხოლოდ მხარეების და არა – ჩვენი ანუ წარმომადგენლების გადასაწყვეტია. წარმომადგენლებს გვევალება, რომ ჩვენს მარწმუნებელს მორიგების ეს პირობა გადავცეთ. სხვა საკითხია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მარწმუნებელი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რაც ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელმაც დაადასტურა: მას გარკვეული თანხა აქვს გადასახდელი! თუმცა კითხვა ღიად რჩება – ის თანხა, რასაც ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ გადასახდელია, აქამდე, ანუ 2016 წლამდე რატომ არ გადაიხადა, ბადრი პატარკაციშვილი ხომ 2008 წელს გარდაიცვალა?

მაია ჭიპაშვილი

ნატო უკრაინის მხარდაჭერას აძლიერებს

პოლონეთი უკრაინას მხარში ამოუდგა

ნატოს ვარშავის სამიტზე უკრაინის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

აშშ-ის პრეზიდენტი ობამა უკრაინასთან თანამშრომლობის გაფართოებას მხარს უჭერდა. განსხვავებული იყო გერმანია-საფრანგეთის პოზიცია. ნატოს სამიტის წინ საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა განაცხადა, რუსეთს არა საფრთხედ, არამედ პარტნიორად განვიხილავთო. გერმანიის კანცლერმა მერკელმა კი თქვა, რომ არ არის აუცილებელი უკრაინასთან თანამშრომლობის გაფართოება, რადგან ეს რუსეთთან დიალოგში ხელს შეგვიშლის, საკმარისია, თუ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი განცხადებით შემოვიფარგლებითო.

პოროშენკოს ვიზიტს პოლონეთში იქაური პრორუსული ლობის გააქტიურება მოჰყვა. გარკვეულმა ძალებმა ცადეს, თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ის, რომ კიევში მოსკოვის პროსპექტს ბანდერას სახელი დაერქვა. რუსეთის პოლონური აგენტურის მიერ კვლავ იქნა წამოწეული ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორიცაა ვოლინის ტრაგედია, რომელსაც ვოლინის ხოცვა-ჟლეტას უწოდებენ.

ზუსტად იმ დღეს, როცა პოროშენკო ვარშავაში ჩავიდა, პოლონეთის სენატმა მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ ვოლინის ხოცვა-ჟლეტა უკრაინელმა ნაციონალისტებმა მოაწყვეს და ეს პოლონელი ერის გენოციდს წარმოადგენდა. სენატმა პარლამენტს მოუწოდა, ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს, მით უმეტეს, რომ 11 ივლისს პოლონეთში ვოლინური ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნება.

მიუხედავად ამისა, პოლონეთის პრეზიდენტმა უკრაინას დიდი დახმარება გაუწია.

დუდა პოროშენკოს პირადად შეხვდა. მისი წვლილი დიდია იმაში, რომ მერკელ-ოლანდის წინადადება უკრაინისთვის დამატებითი დახმარების აღმოჩენის გადადების შესახებ უარყოფილ იქნა. ნატოს ხელმძღვანელობა შეხვდა პოროშენკოსა და უკრაინის საგარეო მინისტრ კლიმკინს, თავდაცვის მინისტრ პოლტორაკს. მიღწეულ იქნა შეთანხმება უკრაინისთვის დახმარების დამატებითი პაკეტის გამოყოფის შესახებ. კერძოდ, საუბარია არმიის რეფორმირების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, უშიშროების სექტორის გაძლიერებაზე.

– ამუშავდება ხუთი ახალი პროგრამა. ყველაფერი გაკეთდება საიმისოდ, რათა ჩვენი შეიარაღებული ძალების რეფორმა დაჩქარდეს და ჩვენი არმია ნატოს სტანდარტებს დაუახლოვდეს, – თქვა პოროშენკომ.

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა მომხდარი ასე შეაფასა:

– უკრაინასთან თანამშრომლობისას ასე შორს ჯერ არ წავსულვართ.

ყველაფერი პოლონეთ-უკრაინის თავდაცვის მინისტრების მიერ ხელმოწერილმა შეთანხმებამ დააგვირგვინა.

ამ შეთანხმებით პოლონეთი უკრაინას სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენს.

ამას გარდა, სტოლტენბერგმა გააკეთა სპეციალური განცხადება, სადაც რუსეთს მოუწოდა, შეწყვიტოს დონბასელი სეპარატისტების მხარდაჭერა. სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ რუსეთი ახორციელებს აგრესიას სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ. მინსკის ხელშეკრულებებიც მხოლოდ რუსეთის გამო არ სრულდება.

პოროშენკომ საჯაროდ გადაუხადა მადლობა თავის პოლონელ კოლეგას და აღნიშნა, რომ დუდას მხარდაჭერამ ვარშავის სამიტზე უკრაინის მიღწევები მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

– უახლოეს მომავალში დუდა უკრაინას ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. სავარაუდოდ, ეს აგვისტოში, უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს მოხდება, – თქვა პოროშენკომ.

შეტაკებები ბერლინში

გერმანიის დედაქალაქში მემარცხენე რადიკალებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ფიქრობენ, რომ გერმანიაში ავტორიტარული ტენდენციები ძლიერდება და პოლიციური რეჟიმი მკაცრდება.

მანიფესტანტებმა ანტინატოური ლოზუნგებიც წამოსწიეს.

– პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ნატოს დამატებითი ბატალიონების განლაგებით რუსეთს ვაღიზიანებთ, ნატო-უკრაინის დაახლოებით კი ევროპა ჩათრეული იქნება რუსეთ-უკრაინის ომში. ვის სჭირდება ეს? შესაძლოა, ამერიკას, მაგრამ არა ევროპას! – გაიძახოდნენ მანიფესტანტები.

საპროტესტო აქციის ფორმალური მიზეზი იმ სახლის მცხოვრებთა გასახლება გახლდათ, რომელიც მემარცხენე რადიკალებს ჰქონდათ დაქირავებული.

მათ საიჯარო თანხა არ გადაიხადეს. სახლის პატრონმა პოლიციაში იჩივლა. პოლიციამ ურჩების გამოსახლება ცადა, რასაც საპროტესტო აქცია და შეტაკებები მოჰყვა.

საპროტესტო აქციაში მონაწილეობა 1.200-მა ადამიანმა მიიღო.

პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად დაზარალებულები ორივე მხარეს არიან. რამდენიმე მანიფესტანტი დაკავებულია.

სირიელმა პარტიზანებმა რუსული ვერტმფრენი ჩამოაგდეს

სირიის განმათავისუფლებელი არმიის ცნობით, რუსული ავიაცია მათი პოზიციების დაბომბვას განაგრძობს. სირიელი პარტიზანებიც იძულებულნი გახდნენ, საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ და რუსული ვერტმფრენი ჩამოეგდოთ.

ვერტმფრენის მთელი ეკიპაჟი დაიღუპა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ რუსული ვერტმფრენის ჩამოგდებისა და მისი ეკიპაჟის დაღუპვის ფაქტი აღიარა, თუმცა მომხდარს საკუთარი ინტერპრეტაცია მისცა:

– ისლამურმა სახელმწიფომ სირიის შეიარაღებულ ძალებზე იერიში მიიტანა. ჩვენც ექსტრემისტების პოზიციები დავბომბეთ, – ამტკიცებს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო.

მექსიკაში უცნობმა თავდამსხმელებმა 15 ადამიანი მოკლეს

მექსიკის ქალაქ სიუდად-ვიქტორიაში უცნობმა თავდამსხმელებმა 15 ადამიანი მოკლეს.

ადგილობრივი დროით დილის 7 საათზე ისინი ერთ-ერთ სახლში შეიჭრნენ და ოჯახის ყველა წევრი, რომლებსაც იმ დროს ეძინათ, დახოცეს. გარდაცვლილთა შორის 5 მცირეწლოვანი გოგოც იყო.

მეორე თავდასხმა 45 წუთის შემდეგ განხორციელდა, რომლის შედეგადაც ერთი მამაკაცი და ორი ქალი დაიღუპა. მოგვიანებით კიდევ ერთი 16 წლის მოზარდის მკვლელობის ფაქტი გახდა ცნობილი.

სროლის შედეგად ოთხმა ადამიანმა მძიმე დაზიანება მიიღო.

ადგილობრივი სამართალდამცველები მიიჩნევენ, რომ საქმე კვლავ ნარკოკარტელების დაპირისპირებას ეხება.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები. კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალაქ ბათუმი, ქეთევანი

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ბრიტანეთი განმეორებით რეფერენდუმს არ ჩაატარებს

ბრიტანეთის საგარეო სამინისტრომ განაცხადა, რომ უკვე 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც ევროკავშირში დარჩენისთვის განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარებას ითვალისწინებს.

– მიუხედავად ამისა, განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება არამიზანშეწონილია! პატივი უნდა ვცეთ ხალხის ნებას, რომელიც ამ რეფერენდუმმა დააფიქსირა, – ნათქვამია ბრიტანეთის საგარეო სამინისტროს განცხადებაში.

ზემანი: „მოსკოვთან დიალოგი აუცილებელია“

პრორუსული ორიენტაციით ცნობილმა ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა ნატოს ვარშავის სამიტი უარყოფითად შეაფასა.

პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ნატოს დამატებითი ძალების განლაგებას მან სიგიჟე უწოდა, უკრაინა-ნატოს თანამშრომლობის გაფართოებას – სახიფათო ავანტიურა.

– ახალი ცივი ომი კარგა ხანია დაიწყო. ახლა არსებობს საფრთხე მისი მესამე მსოფლიო ომში გადაზრდისა, – თქვა ზემანმა.

ჩეხეთის პრეზიდენტი მიესალმება რუსეთ-ნატოს კომისიის ჩატარებას, რომელიც 13 ივლისისთვისაა დანიშნული.

– რუსეთთან დიალოგია აუცილებელი და არა – იარაღის ჟღარუნი, – ამბობს ზემანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადება

2016 წლის 5 ივლისის №157 გაზეთში გამოცხადებულ განცხადებაში შევიდა შემდეგი ცვლილება: ხაშურის რაიონის სოფ. გომის მიმდებარედ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის საწარმოს გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა ასევე გაიმართება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (ტაბიძის ქ. №2) 2016 წლის 26 აგვისტოს, 15 საათზე.

განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● მათ საყურადღებოდ, ვინც ბინებს იშენებს: მეტალოპლასტმასის კარების ჩარჩოს ძირზე გადააკვრევინეთ (თქვენც შეძლებთ!) პატენტირებული ფოლადის გარსაცმი და ჩარჩო აღარასდროს შემოგემტვრევათ ფეხქვეშ. ნიმუში იხილეთ და შეიძინეთ გურამიშვილის გამზირის 31-ში, სანტექნიკის მაღაზიაში. ფასი 10 ლარი. ტელ: 599-94-51-82.

მკურნალობა

● ნანა ქიბრონაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, ნნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

კალათბურთელმა გოგონებმა ნახევარფინალი გაინაღდეს

თბილისში დაიწყო ევროპის 18 წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატის ჩ დივიზიონის ტურნირი.

პირველ დღეს საქართველოს ნაკრები კოსოვოს დაუპირისპირდა.

კოსოვოელებმა ქართველებს ხისტი და თამაში შესთავაზეს, რითაც თავს კარგად იცავდნენ, ხოლო შეტევაში ფონს ძირითადად შორი სროლებით გადიოდნენ. პირველი პერიოდი სტუმრებმა 15:12 მოიგეს, თუმცა ლელა ცანავას გაწვრთნილი ქართველები გონს მალევე მოეგნენ. ჩვენმა ნაკრებმა დაცვაში თამაში გამოასწორა, ვიქტორია გეგეშიძის შორი სროლებით ჯერ ჩამორჩენა აღმოფხვრა და წინ გავიდა, შემდეგ კი ნატალია ოთხმეზურის შედეგიანი თამაშის წყალობით ლიდერობა საიმედოდ გაიმყარა.

ქართველებმა განსაკუთრებით კარგად ჩაითამაშეს პირველი ტაიმის ბოლო წუთები. ქართველთა პრესინგის მეტოქეს დიდი პრობლემები, მასპინძლებს კი 16-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. ცანავას გუნდმა მეორე პერიოდი 26:5 მოიგო და დიდ შესვენებაზე გულდამშვიდებული გავიდა.

მეორე ტაიმში კოსოვოელებმა ჩამორჩენის 9 ქულამდე შემცირება მოახერხეს, თუმცა ეს იყო მათი მაქსიმუმი. საბოლოოდ ჩვენმა ნაკრებმა 65:49 გაიმარჯვა და ტურნირი წარმატებით დაიწყო. საქართველოს ნაკრებს 24 ქულით, 8 პასით, 8 ჩაჭრით და 5 მოხსნით ოთხმეზურმა ულიდერა. 13 ქულა დააგროვა ელენე მანდარიამ.

პირველ დღეს კიდევ 2 მატჩი გაიმართა: ჯერ ერთმანეთს გიბრალტარი და მალტა დაუპირისპირდნენ – ეს ჩვენი ჯგუფია. პირველივე მეოთხედში გამოჩნდა მალტელთა სიძლიერე, რომლებმაც პერიოდი 18:5 მოიგეს. გიბრალტარმა ვერც მეორე ათწუთეულში ვერაფერი შეცვალა. აღნიშნული პერიოდი მალტელებმა 18:4 მოიგეს და მატჩის ბედი დიდი შესვენებისთვის გადაწყვიტეს.

საბოლოოდ მალტელებმა 65:32 მოიგეს და ტურნირზე ერთ-ერთი ფავორიტი გუნდის იმიჯი შეიქმნეს.

ბრძოლა არც მეორე ჯგუფის პირველ მატჩში შედგა – სომხეთის ნაკრებმა 26 ქულის სხვაობით (66:40) დაამარცხა ანდორა. ჩვენმა მეზობლებმა საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშეს და ისე დაამარცხეს ანდორელები, პრობლემა არ შეჰქმნიათ.

მეორე დღეს ქართველებმა და მალტელებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და ჯგუფის დარჩენილი 2 გუნდისთვის – კოსოვოსა და გიბრალტარისთვის მიუწვდომელნი გახდნენ.

მალტამ კოსოვოს ძალიან დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წუთებზე – 53:47 აჯობა, ქართველებმა კი გიბრალტართან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

შეხვედრა მასპინძელთა გაქცევით – 20:0 დაიწყო. ამის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ გიბრალტარელებს წაგება არ ასცდებოდათ, მხოლოდ ის იყო საინტერესო, რა სხვაობით დასრულდებოდა მატჩი.

საბოლოოდ ქართველებმა 62 ქულის სხვაობით – 92:30 იმარჯვეს. 21 ქულით ბომბარდირი ელენე ილურიძე გახდა. 20 ქულა მიითვალა ვიქტორია გეგეშიძემ, ნატალია ოთხმეზურის ანგარიშზე კი 17 ქულა და 8 პასი დაგროვდა.

მეორე ჯგუფში ანდორა უელსს დაუპირისპირდა და შეხვედრის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ უელსს მოკრძალებული ამბიციების გუნდი ჰყავს. ანდორელებმა, რომლებმაც პირველ ტურში სომხეთთან უშანსოდ წააგეს, უელსს პირველი პერიოდი 23:6 მოუგეს, დიდ შესვენებამდე უპირატესობა 21 ქულამდე გაზარდეს, ხოლო საბოლოოდ 72:23 გაიმარჯვეს და ჯგუფიდან გასვლა, ფაქტობრივად, გაინაღდეს.

ა ჯგუფში სათამაშო ერთი მატჩი დარჩა – სომხეთი უელსს ხვდება და თუ დიდი ანგარიშით არ წააგო (რაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია), არაფერი შეიცვლება და ჯგუფიდან სომხეთი და ანდორა გავლენ.

ამინაშვილმა მარსაგიშვილი დაამარცხა და რიოსკენ ნაბიჯი გადადგა

მადრიდში გაიმართა ესპანეთის გრან-პრის გათამაშება, სადაც საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილითა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ასპარეზობდნენ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა თავისუფალთა შორის ალექსანდრე ამინაშვილისა და დავით მარსაგიშვილის ჭიდაობა. ორივე მათგანი 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდის და ორივეს პრეტენზია აქვს ოლიმპიადაზე წასვლაზე.

მოჭიდავეები პირველივე წრეში შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება ამინაშვილს დარჩა – 6:0, რითიც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა რიოში წამსვლელის ვინაობა.

სანდრომ მომდევნო წრეში მწვრთნელების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ჭიდაობა აღარ გააგრძელა.

ტურნირის გამარჯვებული გახდა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გელა ბოლქვაძე (80) რომლისთვისაც ეს უფროს ასაკში პირველი გამარჯვება გამოდგა. აჭარელმა ფალავანმა ამჯერად ერთი წონით ზედა კატეგორიაში იასპარეზა, სულ კი 3 შეხვედრა გამართა, ესპანელი ადრიან ფორტუნი 12:0 და უნგრელი ლასზო სზაბო 6:3 დაამარცხა, ფინალში კი ეგვიპტელ ფაზი მაჰმოუდის 8:2 მოუგო.

მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა და ევროპის 2-გზის ჩემპიონმა 23-წლამდელთა შორის ლაშა გობაძემ (85), რომელმაც ასევე ზედა წონით კატეგორიაში მოსინჯა ძალები, პირველ შეხვედრაში ქართველმა ფალავანმა მექსიკელი ალფონსო ლეივა 13:0 გაანადგურა, მომდევნო შეხვედრაში კი რუსების ქართველ ფალავან ევროპისა და რუსეთის ჩემპიონ დავით ჩაკვეტაძესთან დათმო შეხვედრა 2:11, მესამე ადგილისათვის შეხვედრაში კი იტალიელ ფაბიოს პარისს 12:3 მოუგო.

ხალიჩაზე ბერძენ-რომაელთაგან მინდია წულიკიძეც (75) გამოვიდა, თუმცა პირველივე შეხვედრა დათმო რუს ილიას მაგომედოვთან 4:7 და გამოეთიშა ასპარეზობას.

ბარსელონამ თურანი ტრანსფერზე დააყენა, ბრავო გვარდიოლას უნდა

ესპანური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონამ საბოლოოდ გადაწყვიტა, თურქი ნახევარმცველი არდა თურანი გაყიდოს და ტრანსფერზე დააყენა.

ბარსელონამ თურანი გასულ ზაფხულში, ატლეტიკოდან იყიდა. კატალონიელებმა ფეხბურთელში 34 მილიონი ევრო გადაიხადეს. შეთანხმება დამატებით 7 მილიონის გადახდის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.



თურანმა ფიფას ბანის გამო თამაშის უფლება მიმდინარე წლის იანვარში მოიპოვა და იმედები აშკარად ვერ გაამართლა. 29 წლის ფეხბურთელს ბარსელონაში დარჩენა სურს, მაგრამ კლუბმა მისი გაყიდვა მაინც გადაწყვიტა. კატალონიელები მზად არიან, არდას 25 მილიონ ევროდ შეელიონ.

თურანის შეძენის სურვილს არსენალი, გალათასარაი და ფენერბახჩე გამოთქვამენ.

ბარსელონა, შესაძლოა, დატოვოს მეკარე კლაუდიო ბრავომაც, რომლის შეძენითაც დაინტერესებულია მანჩესტერ სიტის ახალი მთავარი მწვრთნელი, ბარსელონის ლეგენდა პეპ გვარდიოლა.

გვარდიოლას 33 წლის მეკარე დიდი ხანია მოსწონს. ესპანური მედიის ცნობით, კატალონიელს ჩილელი მეკარის მიმართ ინტერესი არ განელებია და ის აპირებს, ბრავო მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დროს შეიძინოს.

კლაუდიო ბრავო ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა. კატალონიური კლუბის მაისურით მან 72 თამაში ჩაატარა და 7 ტიტული მოიგო.

18 წლამდე ნაკრებმა ლატვიაში გადაინაცვლა

საქართველოს 18 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონისთვის ემზადება, რომელიც მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში 29 ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება. ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები უკრაინა, ალბანეთი, ინგლისი, სლოვაკეთი და შოტლანდია იქნებიან.

ნაკრებმა ჩერნოგორიაში 3 სპარინგ მატჩი გამართა. 2 შეხვედრაში დაძაბული ბრძოლები იყო და გუნდებმა მოგებები გაიყვეს, მესამე მატჩში კი მასპინძლებმა იოლად იმარჯვეს – 84:62.

საქართველოს ნაკრებში 3-მა კალათბურთელმა არ ითამაშა – გოგა ბითაძემ, გიორგი ცირიკიძემ და ბერდია ქავთარაძემ. ბითაძე და ცირიკიძე ტრავმების გამო ჯერ არ არიან მწყობრში. ეს კი ამ ნაკრებისთვის უდიდესი დანაკლისია.

საქართველოს ნაკრები 11 ივლისს ლატვიის ქალაქ მადონაში გაემგზავრება, სადაც ამ ქვეყნის 18-წლამდელთა ნაკრებთან სპარინგ-მატჩებს გამართავს.

გეტყვით რომ, გავით უსტიაშვილისა და ირაკლი ხოშტარიას განკარგულებაში ბითაძის, ცირეკიძისა და ქავთარაძის გარდა, ბაბილოძე, დარბაიძე, ფურცხვანიძე, ბულაშვილი, ლეონიძე, გოგუა, ღვედაშვილი, ჩეჩელაშვილი და ფიფია არიან.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

შედეგები

9 ივლისი

ფეხბურთი

შვედეთი. ალსვენსკა

დიურგარდენი-ნორჩიოპინგი	0:1
გეფლე-ფალკენბერგი	1:2
ჰაკენი-ჰამარბი	4:2

ნორვეგია. ტიპელიგა

ვიკინგი-სტრომგოდსეტი	0:1
ბრანი-ვალერენგა	4:1
რუსენბორგი-სარპსბორგი	5:2
ტრომსო-ჰაუგესუნდი	2:2
სონგდალი-მიოლდე	4:3

ჩოგბურთი

უიმბლდონი

ფინალი – ქალები

ს.უილიამსი-კერბერი	7:5,6:3

დვალიშვილი დინამოშია და უეფას გადაწყვეტილებას ელის

უეფას ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის წინ თბილისის დინამო საქართველოს ნაკრების ფეხბურთელით გაძლიერდა. საქართველოს ჩემპიონის ღირსებას ამ სეზონში ვლადიმერ დვალიშვილი დაიცავს.

ფორვარდმა კარიერა 2004 წელს სწორედ დინამოში დაიწყო. შემდეგ იყო ბათუმის დინამო და რუსთავის ოლიმპი. დვალიშვილი 2008 წელს რიგის სკონტოს წევრი გახდა, შემდეგი კი 3 სეზონი კი ჰაიფას მაქაბიში გაატარა. ამის შემდეგ იყო პოლონური გუნდები – პოლონია, ლეგია და პოგონი, შუალედში კი – დანიური ოდენსე.

დვალიშვილმა დინამოსთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა და დედაქალაქურ გუნდში 8 ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

ერთია, ჯერ საეჭვოა დვალიშვილის თამაში ჩემპიონთა ლიგის პირველ დაპირისპირებაში სომხურ ალაშკერტთან. დინამოს უეფაში ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის განაცხადი გაგზავნილი აქვს და იქ დვალიშვილი არ ფიგურირებს, რადგან გაგზავნის დროს ფეხბურთელი დინამოში არ იყო გადმოსული. თუმცა კლუბი ყველაფერს აკეთებს, რომ ლადოს დამატება მოხერხდეს.

ეს ყველაფერი დღეს გაირკვევა, თამაში კი ხვალ არის.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

ამერიკელი ქალი ვარდისფერზეა შეყვარებული

ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრებმა ქალმა 1,5 მილიონი დოლარი დახარჯა იმისთვის, რათა მის გარშემო ყველაფერი ვარდისფრად გამოიყურებოდეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კიტენ კეი სერა ბოლო 35 წლის მანძილზე მხოლოდ ვარდისფერ სამოსს იცვამს და ამავე ფერის აქსესუარებს ატარებს. ასევე 52 წლის ქალბატონმა მთელი სახლი თავის საყვარელ ფერში შეღება. ასევე ვარდისფერია მისი საყვარელი ძაღლის ბეწვიც.

– მეამაყება, რომ ფლამინგო ვარ მტრედების სამყაროში. მე მსოფლიოში ყველაზე მეტად ვარდისფერი მიყვარს და მას მთელი ცხოვრება მივუძღვენი, – განაცხადა სერამ.

თავად ქალის თქმით, რომელიც ჰოლივუდში ცხოვრობს, ის ისეთ ვარსკვლავებთან ერთად მონაწილეობს ფოტოსესიებში როგორებიც არიან, პერის ჰილტონი, რუბი როუზი, ელენ ფონ უნვერტი და ბიონსე. აღსანიშნავია, რომ სერა მღერის და სოლო ალბომს წერს.

ამერიკელმა 150 წლის კრეკერი შეჭამა

იუთუბიზე გამოქვეყნდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ჭამს ამერიკელი 1863 წლის კრეკერს. ვიდეორგოლი რამდენიმე დღის წინაა განთავსებული და მან უკვე 285 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

ნამცხვრის ნახევრის შეჭმის შემდეგ მამაკაცმა გადაწყვიტა, მისი მეორე ნახევარი წყალში ჩაედო. ამის შემდეგ მას დაამატა 30 წლის წინანდელი ხსნადი ყავა, რათა ამით კრეკერი უფრო რბილი და გემრიელი გამხდარიყო.

როგორც ვიდეორგოლის ავტორმა კომენტარში აღნიშნა, აღნიშნული ნამცხვარი აშშ-ს სამოქალაქო ომის დროინდელია. ის მშრალი საკვების ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ჩრდილოეთის შტატების არმიის რაციონში შედიოდა.

მან ასევე განაცხადა, რომ კრეკერი სამხედრო მუზეუმს არ გადასცა, ვინაიდან ამის თაობაზე დაწესებულების დირექტორთან იმსჯელა და რელიქვიის შეჭმის იდეას დაეთანხმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
11 ივლისისთვის

ვერძი – ფულის შოვნის ახალ წყაროს მიაგნებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში დაგეხმარებათ. მთლიანობაში, წარმატებული დღეა. **კურო** – პლანეტები კვლავ გაფრთხილებენ: ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – ერთ-ერთი უიღბლო დღეთაგანია. გამორიცხული არ არის მატერიალური ზარალი. ასევე სასურველია, გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას და ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ. **კირჩხიბი** – თავგადასავლების ძიებას შეეშვით. უმჯობესი იქნება, თუ დაისვენებთ წიგნით ან გაზეთით ხელში. **ლომი** – წარმატება ელით კომერციული საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს. მიზანს იოლად მიაღწევთ. ფულს შოულობთ. **ქალწული** – ყოველმხრივ ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. ახალგაცნობილი ადამიანი სასარგებლო იდეას მოგაწვდით. **სასწორი** – დიდი შანსია, ცდუნების აყოლამ სავალალო შედეგი გამოიღოს. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ კულტურულად, ეწვიეთ მუზეუმებს, საგამოფენო დარბაზებს. ახალი შთაბეჭდილებები სულიერად გაგამდიდრებთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ მძიმე სამუშაოს. ეს თქვენი ჯანმრთელობისთვის დაუშვებელია. შესაძლოა ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **თხის რქა** – ნებისმიერ გამოცდას წარმატებით ჩააბარებთ. მიზანს იოლად მიაღწევთ, ოღონდ ეს თქვენი ჯანმრთელობის ფასად არ უნდა მოხდეს. **მერწყული** – თქვენი კომუნიკაბელურობა და სწრაფი რეაქციის უნარი საშუალებას მოგცემთ, დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვათ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. თუ სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტთ, სიფრთხილე გამოიჩინეთ ანდა საერთოდ სამომავლოდ გადადეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

რიტა ორას სიგამხდრემ თაყვანისმცემლები შეაშფოთა

ბრიტანელმა მომღერალმა რიტა ორამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომლის ხილვამ მისი თაყვანისმცემლები ააღელვა, რომლებიც მუდმივად ადევნებენ თვალს სიახლეებს მის აკაუნტში.

25 წლის მომღერალმა საკუთარ თავს სურათი საცურაო კოსტუმში გამოწყობილს გადაუღო. ამ ფოტოსურათის ხილვის შემდეგ, მისმა თაყვანისმცემლებმა ჩათვალეს, რომ ის მეტისმეტად გამხდარია. ინტერნეტ-მომხმარებელთა უმრავლესობამ ორას წონაში რამდენიმე კილოგრამის მომატება შესთავაზა, რათა უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდეს.

– სულაც არ არის აუცილებელი ჩონჩხს დაემსგავსო იმისთვის, რომ ლამაზად გამოიყურებოდე, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

სოციალურ ქსელში ბრიტანელი მომღერლის გვერდს 9,6 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, ხოლო მისმა ფოტოსურათმა საცურაო კოსტუმში 650 კომენტარზე მეტი მოაგროვა.

მშობლებმა შვილს გეი-სიურპრიზი მოუწყვეს

ნიუ-ჯერსელმა მშობლებმა წვეულება-სიურპრიზი მოაწყვეს მას შემდეგ, როდესაც მათმა მოზარდმა ქალიშვილმა განუცხადათ, რომ ის ჰომოსექსუალური ორიენტაციისა.

17 წლის კინსი რაცმანის მშობლებმა სახლი და სასადილო მაგიდა ცისარტყელას ფერებში მორთეს (ლგბტ საზოგადოების სიმბოლო) და მენიუც შესაბამისი ფერის კერძებისგან შეადგინეს. კერძოდ, გამოაცხვეს ტორტი, რომელზეც ზევიდან ამერიკის დროშა იყო გამოსახული, ხოლო შიგნით ბისკვიტი ცისარტყელას ფერებში იყო გადაწყვეტილი.

გოგონამ სადღესასწაულო ოჯახური სადილის ფოტოსურათები სოციალურ ქსელში განათავსა. მასზე გოგონას მეგობრები და ნათესავები იყვნენ მიწვეულნი. მისი თქმით, მშობლების მიერ მოწყობილმა დღესასწაულმა იმდენად აღაფრთოვანა, რომ გადაწყვიტა, სიმართლე საკუთარ თავზე ყველას, მათ შორის ვირტუალურ მეგობრებსაც გაუზიაროს.

50 წლის ბრიტანელი 30 წლის გოგონას გარეგნობით ამაყობს

ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელმაც 85 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი (დაახლოებით 110 ათასი დოლარი) დახარჯა გაახალგაზრდავებაზე, სიამაყით განაცხადა, რომ 52 წლის ასაკში მყოფმა 30 წლის ქალის გარეგნობა მიიღო.

ბი კემერონმა გაიკეთა ლიპოსაქცია, ასევე სამი ოპერაცია მკერდის გასადიდებლად, თეძოების ფორმის შესაცვლელი პროცედურები, სახის დაჭიმვა, კბილების გათეთრება და ბოტოქსის ინექციები. ასევე ის რეგულარულად იკეთებს სხვადასხვა კოსმეტიკურ პროცედურებს. ბრიტანელის თქმით, ამ მანიპულაციების წყალობით, ის ახერხებს თავის ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს და რომანტიკული ურთიერთობები გააბას 35 წლამდე ასაკის მამაკაცებთან.

ორი შვილის დედა აღნიშნავს, რომ ის პლასტიკური ოპერაციების გაკეთებას 90 წლის ასაკშიც გეგმავს, ვინაიდან ისინი მას საკუთარი თავის რწმენის განმტკიცებაში ეხმარებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საერთაშორისო

ბაიდენი ლატვიას ესტუმრება

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი ოფიციალური ვიზიტით ლატვიაში ჩავა.

რუსეთში გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბალტიისპირეთში, კერძოდ, ლატვიასა და ესტონეთში, რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებები ირღვევა. სახეზეა მოწოდება, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები დაიცვას.

– თუკი ისრაელი თავის თანამემამულეებს იცავს, ჩვენ, რუსებს, ამის უფლება რატომ არ გვაქვს? – აცხადებს პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი.

ამერიკის დაზვერვის ცნობით, რეალურია საფრთხე იმისა, რომ რუსეთი ლატვიასა და ესტონეთში „ჰიბრიდულ ომს“ გააჩაღებს.

ბაიდენის რიგაში ვიზიტის მიზანი ბალტიისპირეთისადმი ამერიკის მხარდაჭერის დაფიქსირებაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ავსტრალიელმა მამას პოლიციაში კანაფის განადგურებისთვის უჩივლა

ავსტრალიელმა ახალგაზრდამ მამას პოლიციაში იმის გამო უჩივლა, რომ მან მის მიერ მოყვანილი კანაფის ნათესი გაანადგურა, ცეცხლი წაუკიდა. ამ ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანოების ვებ-გვერდი ავრცელებს.

პოლიციელებმა გამოძახება დასახლებულ პუნქტ ჰამპტი დუდან საღამოს საათებში მიიღეს. მათ ახალგაზრდამ აცნობა, რომ მამას ეჩხუბა, მან კი სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მის მიერ მოყვანილ კანაფს ცეცხლი წაუკიდა. შემთხვევის ადგილზე მისული სამართალდამცავები დარწმუნდნენ, რომ ეს ცრუ გამოძახება არ ყოფილა.

პოლიციელები დაინტერესდნენ, იყო თუ არა ცნობილი ახალგაზრდისთვის ნარკოტიკის შემცველი მცენარის შენახვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. რაზეც მან უპასუხა, რომ ეს გაცილებით ნაკლებ დანაშაულად მიაჩნია, ვიდრე სხვისი ქონების განადგურება. ავსტრალიელისთვის რაიმე სახის ბრალდება არ წაუყენებიათ, ვინაიდან მცენარეები განადგურებული იყო, „ისევე, როგორც მისი რეპუტაცია“, აღნიშნეს სამართალდამცველებმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიტყვიერი



1. ... ხაიამი; 2. ... ჯოხაძე; 3. მაუგლის მეგობარი პითონი; 4. შლამის თევზი; 5. უღრანი (ტყე); 6. დამუხტული ატომი; 7. კათოლიკური წირვა; 8. მკბენარი; 9. მუშა საქონელი; 10. ბატონი (ინგლისურად); 11. მდინარე საფრანგეთში; 12. ბერძნული ანბანის ასო; 13. მტაცებელი ცხოველი; 14. მაგარმერქნიანი ხე; 15. უნგრელი მათემატიკოსი; 16. ყელზე ჩამოსაკიდი ლითონის სამკაული; 17. ქვეყნის მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 18. ერთუჯრედიანი ცხოველი; 19. კრიტიკული მდგომარეობა; 20. ცირკის მოედანი; 21. გაუშლელი ყვავილი; 22. ბებერი მუხა; 23. სპექტაკლის გასამართი ადგილი; 24. ნიგერიის ფული; 25. კურკოვანი ხილი; 26. სატურნის თანამგზავრი; 27. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 28. მოჩვენებითი რამ უდაბნოში; 29. „... იტყვის ხალხი?!“; 30. ჭრილობა; 31. ჭუჭრუტანაში შემოსული სხივი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქემელი; 2. ხუცესი; 3. რიტმი; 5. ჟოქო; 6. ტრიუმი; 8. ასკილი; 11. თეოდოლიტი; 13. სუპორტი; 14. სორბონა; 15. ვისკოზა; 19. ლელო.

თარაზულად: 1. ქვანახშირი; 4. გორუეტი; 7. მატრიცა; 9. მაესტრო; 10. ათოსი; 12. ერისთავი; 16. ციხეგოჯი; 17. აპლომბი; 18. ობივატელი; 20. ტოსკანა; 21. შინი; 22. ეკოლოგია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შამოტი; 2. კვაზარი; 3. ფუკუსიმა; 4. მირაბელი; 8. კარბონადო; 9. მიკოლოგია; 11. კნეთელი; 12. თორი; 14. ლიმა; 16. მატაბელი; 17. შატბერდი; 19. კულაკი; 21. შატლი.

თარაზულად: 5. მურყვამი; 6. სათაფლია; 7. ნატახტარი; 10. ტიტანი; 13. ბიკილა; 15. არითმია; 18. ჩაფარი; 20. კრისტი; 22. ბალახვანი; 23. პლესეცკი; 24. ალავერდი.

ნინო ანანიაშვილმა საბალეტო სეზონი ლეკურით დახურა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა 164-ე სეზონი გრანდიოზული გალა-კონცერტით დახურა, სადაც წარმოდგენილი იყო ჯორჯ ბალანჩინის ერთმოქმედებიანი ბალეტები და ფრედერიკ ეშტონის ბალეტი „მარგარიტა და არმანი“, რომელშიც მთავარი პარტიები ნინო ანანიაშვილმა და დასის სოლისტმა ფრენკ ვან ტონგერენმა შეასრულეს.

ქართველმა პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილმა ღონისძიების დასასრულს ქართველ მაყურებელს სიურპრიზი მოუწყო და საღამო მოულოდნელი ნომრით დაასრულა. ბალერინამ სუხიშვილებთან ერთად ლეკური იცეკვა.

საბალეტო დასისთვის 164-ე თეატრალური სეზონი შემოქმედებითად დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა. მოცეკვავეებმა მაყურებელს 7 საბალეტო პრემიერა შესთავაზეს, მთლიანობაში სეზონზე 27 სპექტაკლი წარმოადგინეს და გასტროლებზე ესპანეთში, იტალიასა და რუსეთში იმყოფებოდნენ.

165-ე საბალეტო სეზონს დასი შემოდგომაზე „ჟიზელის“ პრემიერით გახსნის. პრემიერამდე კი ქართველებს ამერიკაში ელოდებიან, სადაც წარმოდგენილი იქნება ბალანჩინის პროგრამა, „საგალობელი“ და „მარგარიტა და არმანი“.

ჩარგალში ბაჩანა რაზიკაშვილის ქოხი დაიწვა

ჩარგალში ვაჟა-ფშაველას ძმის, ბაჩანა რაზიკაშვილის აშენებული ქოხი დაიწვა.

ლელა რაზიკაშვილი:

– პაპაჩემის აშენებული ქოხი იწვის ჩარგალში ამ წუთას! ბავშვები კარგად არიან, მე აქ ვარ და ვფიქრობ, დადგა დრო, ყველაფერი ახლიდან დავიწყო!

ხოდა არ გეგონოთ, დამწუხრებული ვარ, პირიქით, ახლა ვარ ენერგიით სავსე და ყველაფრის ახლიდან დაწყებას ვგეგმავ... სახურავს უკვე უკიდია, იწვის ჩემი მძიმე წარსული და მოდის მომავალი... ახალი და გახარებული მომავალი! ბავშვები კარგად არიან! ეჭვი მაქვს, სახანძროზე ადრე ავალ იქ, თუმცა სახანძროს სამუშაო აღარ დახვდება, მე კი ახლა დავიწყებ ყველაფერს!

ღმერთია ჩემთან! ჩვენთან! ყველასთან!

მერსი სულხანიშვილი რადიოეთერიდან მოხსნეს

ამ უქმეებზე ტელეწამყვანმა მერსი სულხანიშვილმა „ნიკორას“ ერთ-ერთ მაღაზიაში მომსახურე პერსონალს შეურაცხყოფა მიაყენა და „საწყობის ბიჭს“ სულ ნაბიჭვარი ეძახა, ერთ-ერთ კონსულტანტს კი კითხვით „შენ იცი, მე ვინ ვარ?“ ეჭიმებოდა.

ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა.

„ნიკორაში“ მომხდართან დაკავშირებით რადიო „აფხაზეთის ხმამ“, სადაც მერსი სულხანიშვილი წამყვანად მუშაობდა, სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა:

– ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით თქვენი ანუ ჩვენი მსმენელების ერთგულნი. თქვენივე კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, ვითარების გარკვევამდე მერსი სულხანიშვილი რადიოეთერიდან მოხსნილია!

ოპერის თეატრის მუსიკოსებმა კინწურაშვილს უნდობლობა გამოუცხადეს

თბილისის ოპერის თეატრში სამხატვრო საბჭოს არჩევნები ხმაურით ჩატარდა.

თეატრის მუსიკოსებმა სამხატვრო ხელმძღვანელ დავით კინწურაშვილს უნდობლობა გამოუცხადეს. გუნდის თანამშრომლებმა მონაწილეობა არ მიიღეს თეატრში დაგეგმილ სამხატვრო საბჭოს არჩევნებში.

მუსიკოსების ინფორმაციით, თეატრში უამრავი პრობლემაა და მნიშვნელოვანი საკითხებია გადასაწყვეტი. დავით კინწურაშვილი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს, თეატრში ახალი საოპერო სპექტაკლები არ იდგმება, ფული არამიზნობრივად იხარჯება და ადმინისტრაციის წარმომადგენლები დიდ პრემიებს იღებენ.

ოპერის თეატრის თანამშრომლები კულტურის სამინისტროს ამ საკითხით დაინტერესებას სთხოვენ.

ბრალდებებს დავით კინწურაშვილმა უპასუხა.

მისი თქმით, თეატრში ბევრი მნიშვნელოვანი პროცესი მიმდინარეობს, მათ შორის სამხატვრო საბჭოს ახალი დანიშვნაა, რაც ყოველთვის ხმაურით მიმდინარეობს.

200-მილიონიანი საკონცერტო დარბაზი სახელმწიფოს გადაეცა

აჭარაში მდებარე ბლექ სი არენა, უმაღლესი სტანდარტის, ულტრათანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობებით აღჭურვილი, 200 მილიონი ლარის ღირებულების საკონცერტო დარბაზი, რომელიც ფონდმა „ქართუმ“ აშენა, საკუთრებაში სახელმწიფოს გადაეცა.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს ფონდის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ჩხეტიანმა და საქართველოს პირველმა ვიცეპრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საკონცერტო დარბაზთან ერთად, სახელმწიფომ საჩუქრად მიიღო 2016 წლის სექტემბრამდე გაწერილი კულტურული პროგრამა მსოფლიო და ქართველი ვარსკვლავების მონაწილეობით, რომელიც დაფინანსებულია ფონდ „ქართუს“ მიერ.

კონცერტებზე გაყიდული ბილეთებიდან მიღებული მილიონობით ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში შევა.

რეგიონში პირველი, უმაღლესი დონის საკონცერტო დარბაზი 10.000 მაყურებელზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მშენებლობაში ფონდმა „ქართუმ“ 200 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

გერმანელს შიშვლად სიარულის ნება დართეს

გერმანიის ქალაქ დორტმუნდის მცხოვრებმა სასამართლოში დაიცვა მეზობლების თვალწინ შიშვლად სიარულის უფლება.

42 წლის რობერტ ბ. კვირაში ორჯერ სტუმრობდა საკუთარ ეზოში მდებარე საუნას და ყოველ ჯერზე იქ შიშველი მიდიოდა. მას ამის გამო მეზობელმა ჰანს ლ-მ უჩივლა და ნატურიზმის მოყვარულს საკუთარი გრძნობების შეურაცხყოფა დასდო ბრალად. მოსარჩელემ ასევე განაცხადა, რომ მისი მეზობელი მუდმივად ნასვამ მდგომარეობაშია.

გარდა ამისა, მეზობლის თქმით, რობერტ ბ-ს საუნაში არ აქვს საპირფარეშო და ის ბუნებრივ მოთხოვნილებას პირდაპირ ბაღში იკმაყოფილებს. იმის დასადასტურებლად, რომ მეზობელი დედიშობილა დადის ეზოში, მან დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ გამოიყურება შიშველი რობერტი.

მოსამართლემ განაცხადა, რომ რობერტის მოქმედებაში კანონის დარღვევის ნიშნები ვერ აღმოაჩინა, ვინაიდან ის უშუალოდ მისი კერძო საკუთრების ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ რობერტ ბ-ს მიერ დაქირავებულმა დამცველმა განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა გადაწყვიტა, სახლი გაყიდოს და საცხოვრებლად სხვა ადგილას გადავიდეს.

61 წლის ჩინელმა მშვიდობიანად იმშობიარა

ჩინელმა პენსიონერმა, გვარად ჩანმა, იმშობიარა და 61 წლის ასაკში გახდა დედა. პროვინცია ჩუეძიანის მცხოვრებმა ქალმა და მისმა 66 წლის მეუღლემ ხელოვნური განაყოფიერებით ბავშვის გაჩენის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როდესაც მათი ერთადერთი შვილი 30 წლის ქალიშვილი მძიმედ დაავადდა და გარდაიცვალა. ჩანი დაფეხმძიმდა და სრულიად ჯანმრთელი შვილი გააჩინა.

როგორც ექიმმა ხეცზინმა განაცხადა, რომელიც ფეხმძიმე ქალის მდგომარეობას აკვირდებოდა, ჩანი ყველაზე ხნიერი დედა გახდა საავადმყოფოს არსებობის ისტორიაში. მისი ფეხმძიმობა მძიმედ მიმდინარეობდა. ქალი სისხლდენის გამო ორჯერ იქნა მოთავსებული საავადმყოფოში. მას ასევე პრობლემები შეექმნა გულზე, ფილტვებსა და თირკმლებზე. ქალს საკეისრო კვეთა გაუკეთდა.

დედა-შვილის მდგომარეობა სტაბილურია.

კოალამ სახლი მიითვისა

ავსტრალიაში კოალამ სახლიდან წასული მობინადრეების სახლი მიისაკუთრა. აღნიშნული ინციდენტი ახალი სამხრეთ უელსის შტატში მოხდა.

როდესაც მიშელ გუდმენი და ვიკი ჰეინსი სახლში დაბრუნდნენ, მათ ბინაში „დაუპატიჟებელი“ სტუმარი კოალა აღმოაჩინეს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სახლი მას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ცხოველმა ბინაში ძაღლისთვის განკუთვნილი კარიდან შეაღწია.

აღმოჩნდა, რომ კოალა ბინაში არცთუ ურიგოდ მოეწყო და იქ თავისთვის საუკეთესო ადგილიც შეარჩია. როგორც სახლის პატრონმა გუდმენმა აღნიშნა, კოალა დივანზე ისე იყო წამომჯდარი თითქოს ტელევიზორის საყურებლად ემზადებოდა. ცხოველს სახლის პატრონების არ შეშინებია და, პირიქით, მათ „აგრძნობინა“, რომ აპარტამენტები ახლა მას ეკუთვნოდა.

გუდმენმა და ჰეინსმა დახმარებისთვის კოალების გადარჩენის საზოგადოებას მიმართეს, რომლის თანამშრომლებიც ადგილზე მივიდნენ და ცხოველი „დაარწმუნეს“, სახლი დაეტოვებინა.

უხუცესი ბრიტანელი ქალი გარდაიცვალა

დიდი ბრიტანეთის ყველაზე ხანდაზმული მოქალაქე გლედის ჰუპერი 113 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ქალაქ რაიდის ხანდაზმულთა სახლში გარდაიცვალა, სადაც ბოლო 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

როგორც მისმა შვილმა 85 წლის დერეკ ჰერმისტონმა განაცხადა, ჰუპერი ძილში გარდაიცვალა.

– ის ჩვენ იმ დილით ვნახეთ. ურიგოდ არ გამოიყურებოდა. სულ ერთი საათის წასულები ვიყავით, როდესაც დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ის გარდაიცვალა, – განაცხადა დერეკმა.

მიმდინარე წლის 18 იანვარს გლედი ჰუპერმა თავის დაბადების დღეს ფინჯანი ჩაი, ტორტის ნაჭერი და ახალი ჩასადგმელი კბილები მოითხოვა. მაშინ მან ისიც აღნიშნა, რომ მისი მდგომარეობა მას შემდეგ არ შეცვლილა, რაც 75 წელი შეუსრულდა.

ჰუპერი 1903 წელს დაიბადა აღმოსავლეთ სუსექსის საგრაფოს ქალაქ ბრაიტონში. ის მუსიკოსი იყო და ვიოლინოზე უკრავდა. ქალი 1988 წელს დაქვრივდა. 2015 წლის ოქტომბერში ის გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ქვეყნის ყველაზე უხუცესი ადამიანი, რომელსაც თეძოს ძვლის შეცვლის ოპერაცია გაუკეთდა.

ამიერიდან დიდი ბრიტანეთის ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად 112 წლის ბესი კემი ითვლება, რომელიც სამხრეთ იორკშირის საგრაფოს ქალაქ როტერჰემში ცხოვრობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 11 ივლისი

07.30 დ/ფ **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.35** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენბერ ჰეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "თოფ–გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოება**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.30** მხ/ფ "**ათოვდა კედრებს**" (ი.ჰოუკი) **00.45** მხ/ფ "**ვიდოო მაბარი პოლიციელები**" **02.45** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **03.15** "ხანმოკლე XX საუკუნეიოუ" **03.45** "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" **09.00** მხ/ფ "**რთული ბავშვი**" **10.30** დ/ფ "დიდი ბრიტანეთი" **11.00** ქართ. ტ/ფ "**მუშდრო საპანე**" **12.30** დ/ფ "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" **13.30** "ჩვენი პარლამენტი" **14.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **22.00** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**პარასკევის ღამის ნათება**"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **6** ნაწ. **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პაბარაკლი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** იუმორინა **00.00** მხ/ფ "**პატრული**" **02.05** მხ/ფ "**ტელეწამყვანი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** გაცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" - მეამბოხეები **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**ჯარგი ცოლი**" **11.00, 3.15** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძალები**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**საბეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**საშინელი ზღაპრები**" **1.30** მხ/ფ "სიკვდილის კოცნა"

06.10 მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ხეფსარული ბალადა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** დ/ფ "სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ" **16.15** სპექტაკლი "**შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი**" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" **1** ნაწ. **20.40** ძილი ნებისა "ბულბული" **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო **00.25** "ტალანტები და თაყვანისმცემლები"-ალექსანდრე ბასილაია **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ფესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **9.25** ევროპის ჩემპიონატის დღიურები **10.05** სერ. "**ბაბილინა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშარი ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**სტანიცა**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 ივლისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3391

ევრო — 2.5880

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0376

100 რუსული რუბლი — 3.6429

ამინდის პროგნოზი 11 ივლისისთვის

12 ივლისიდან

ბოლესლავ პრუსი

ფარაონი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



7 ივლისიდან

გაბრიელ გარსია მარკესი

გენერალი თავის ლაბირინთში

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ესპანეთში ხარმა ტორეადორი მოკლა

ესპანეთში პროფესიონალი ტორეადორი ვიქტორ ბარიო მას შემდეგ დაიღუპა, როდესაც არენაზე გამოსვლის დროს ხარმა მას რამდენიმე დარტყმა მიაყენა. ინციდენტი ესპანეთის ავტონომიურ მხარე არაგონის ქალაქ ტერუელში შაბათ საღამოს მოხდა.

წარმოდგენის დროს ხარმა რამდენჯერმე ატაკა რქები ბარიოს. ტორეადორებმა, რომლებიც ასევე არენაზე იმყოფებოდნენ, ცხოველი გაიტყუეს, რათა 29 წლის ბარიოსთვის დახმარება აღმოეჩინათ. ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, მაგრამ ექიმებმა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლეს.

ბოლო ტორეადორი, რომელიც კორიდის დროს ხარმა იმსხვერპლა, ხოსე კუბერო იყო და ეს 1985 წელს მოხდა.

მსხვილტანიანმა მოდელმა შეულამაზებელი ფოტოები გამოაქვეყნა

მოდელმა პლუს-სიზემ ეშლი პრემმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსესიის ბეკსტეიჯ-კადრები, რომელთაც რედაქტირება არ განუცდიათ. გოგონას აკაუნტს სოციალურ ქსელში ორ მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

– ერთხელ მე მითხრეს, რომ ჩემი თეძოები მთლიანად ცელულიტისგან შედგება, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეს თეძოები სითამამისა და გამარჯვების დადასტურებას წარმოადგენს. გარშემო მყოფთ არ მივცემ იმის უფლებას, რომ მიკარნახონ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩემი სხეული, – მიაწერა სურათს მოდელმა.

სურათებში გოგონა საცურაო კოსტიუმში გამოწყობილია ასახული. ამ დროისთვის კი მისმა ახალმა ფოტოსურათებმა 134 ათასზე მეტი მოწონება მიიღეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– რა კარგი წყვილია ჩვენი ახალი მეზობლები.

– რა იცი?

– კაცი ქალს სულ ეფერება, კოცნის, საალერსო სიტყვებს ეუბნება. შენც რატომ არ იქცევი ასე?

– მე რა შუაში ვარ? იმ ქალს საერთოდ არ ვიცნობ.

•••

ნასვამი კაცი ქალს უკან მიჰყვება, უნდა, რომ გაიცნოს და ეკითხება:

– გოგონი, თქვენ, ალბათ, სილამაზის სალონიდან მოდიხართ, ხომ?

– დიახ! – უპასუხა კეკლუცად გოგონამ და გამოხედა.

– დაკეტილი იყო?

•••

ქმარი ღამით ცოლს აღვიძებს:

– ქალოო...

– ჰაა...

– უცბად მამინდა, ქალოო...

– მეხი კი დაგაყარე! მაგი გულითვინ გამაღვიძე? დაგავიწყდა, სად რა არი?..

•••

სტუმრად სიძესთან ჩასული სიდედრი მეორე დილით სიძეს შესჩივლებს:

– მთელი ღამე კოღოები მკბენდნენ, ლოგინი სულ სისხლიანია.

– ეტყობა, კოღოებს შენს სისხლზე გული აერიათ...

•••

მეზობლები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩვენი უბნელი მაყვალა ისეთი მეძავი ყოფილა, ისეთი, რომ საგვარეულო ხეზე ფუღუროდ მონიშნეს.

•••

კბილის ექიმი პაციენტ ქალს ეუბნება:

– ქალბატონო, ეს კბილი ამოსაღებია. აი, ახლა მე კბილზე გაზს მოგკიდებთ, თქვენ კი ხელი მომიჭირეთ, რომ არ გეტკინოთ.

– ვაიმე, სად მოგიჭიროთ, ექიმოო?!

•••

დაწესებულებაში მისულმა ახალმა უფროსმა მდივანი ქალი გამოიძახა, ყურადღებით დააკვირდა და ეუბნება:

– კაბა 10 სანტიმეტრით დაამოკლეთ... პომადა უფრო მკვეთრი ფერის შეარჩიეთ...

– უკაცრავად, მკერდზე მარილი არ შევიზილო?

– რატომ?

– რა ვიცი, წინა უფროსს უყვარდა ლუდზე დასაყოლებლად.

•••

ხანგრძლივი მივლინებიდან დაბრუნებულ ქმარი ცოლს მიადგება. ქალი ეუბნება:

– აქ ყველაფერი შეიცვალა, ახლა უკვე ფასიანია.

– რაა?

– იატაკზე 3 ლარი ღირს, ლოგინში – 5 ლარი, შხაპის ქვეშ 10 ლარი.

კაცი 10-ლარიანს მიაწოდებს.

– წავიდეთ საშხაპეში, – ეუბნება ცოლი.

– რა საშხაპე?! სამჯერ იატაკზე და ლარი ხურდა მომეცი!

•••

კაცს ნათესავი ეკითხება:

– როგორი გამოგადგა სიძე?

– უუჰ, ისეთია, მუხას მოგლეჯს... მარა...

– რა მარა?

– სად წაიღოს, აღარ იცის!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

8 ივლისიდან

ლიზიკო ქავთარაძე

28 წელი გულაგში

არაადამიანური სისასტიკითაა დაღდასმული ცხოვრება, რომელზეც წიგნის ავტორი, 28 წლის განმავლობაში საბჭოთა გულაგში ნატანჯი ქართველი ქალი მოგვითხრობს.

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნში ბევრი რეპრესირებული ადამიანის სახელსა და გვარს ამოიკითხავთ. უთუოდ დაგაინტერესებთ ავტორის ხედვა და ანალიზი საბჭოთა პერიოდისა.

წიგნისა და გაზეთის ფასი 9 ლარი

13 ივლისიდან

ორჰან ფამუქი

მდუმარე სახლი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

საზამთროს მკრეფავი ჩინელი ბავშვი ინტერნეტის ვარსკვლავი გახდა

ჩინეთის ქალაქ იუნჩუანში მცხოვრებმა ბავშვმა სოციალური ქსელების მომხმარებელთა შორის პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, როდესაც ინტერნეტში გამოქვეყნდა ფოტოსურათები, რომელზეც ასახულია, თუ როგორ იღებს საზამთროს მოსავალს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორი წლის ბავშვი, რომლის სახელიც უცნობია, ფერმაში მამას ეხმარებოდა. ბავშვის ფოტოსურათების ინტერნეტში გამოქვეყნებით მის მშობლებს თავიანთი პროდუქციის მყიდველების ყურადღების მიპყრობა სურდათ.

სურათებზე აღბეჭდილ ბავშვს ტრადიციული ჩინური პერანგი დუანდა აცვია, ზურგზე პატარა დაწნული კალათა აქვს მოკიდებული. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა ბავშვის ფოტოსურათმა ოთხ დღეში 21 მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. ინგლისელი პოეტი; 6. ხელოვნური ბოჭკო; 7. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 10. დაუკოდავი ღორი; 12. ბულგარელი მათემატიკოსი; 13. ძველინდური სამწერლო ენა; 18. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 19. მშრალ კედელზე წყლიანი საღებავით შესრულებული ნახატი; 20. მუსიკალური საკრავი (სპილენძის თეფშები); 21. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 22. ყურის ექიმი.

შვეულად: 1. ერთგვარი კანფეტი; 2. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი; 3. რელიეფის თავისებური ფორმები; 4. პრესაში გამოსაქვეყნებლად ცნობილ პიროვნებასთან ჟურნალისტის საუბარი; 8. შვედეთის კანონთა კრებული ძველად; 9. ზებუნებრივი ძალების რწმენის მქონე პირი; 11. თავად-აზნაურთა ტიტული დასავლეთ ევროპაში; 14. ერთმანეთში ჩაწნული ყვავილები; 15. ფულის გამომძალველი; 16. ავგაროზი; 17. შექსპირის ტრაგედია.

შეადგინა ოლივერ კოხიამ